საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.
№ 76 (355)
ხუთშაბათი, 7 მაისი, 1992 წელი
ფასი 1 მანეთი

საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

დღენიადაგ უნდა ვზრუნავდეთ იმისათვის, რომ მოსახლეობა სოციალურად დავიცვათ

ეკონომიკის ღრმა კრიზისის პირობებში ყოველი ნაბიჯი ბოლომდე უნდა იყოს გააზრებული, რათა მაქსიმალურად უმტკივნეულო გავხადოთ ის არაპოპულარული ზომები, რომელთა მიღებასაც გვაიძულებს ჩვენი მკაცრი სინამდვილე

5 მაისს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე თავმჯდომარეობდა. სხდომის დღის წესრიგში პირველ პუნქტად იყო შეტანილი მინისტრთა კაბინეტის ინფორმაცია ფასების გადიდებასთან დაკავშირებით. ამის მიზეზი გახდა საზოგადოებრიობის მწვავე რეაქცია რესპუბლიკის მთავრობის ამ ცოტა ხნის წინანდელი გადაწყვეტილებები საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტით სარგებლობის ახალი ტარიფების შემოღებაზე. ამ საბაზო დარგის მომსახურებაზე ერთბაშად რამდენჯერმე გაზრდილმა ფასებმა მტკივნეული დარტყმა მიაყენა ყველას, განსაკუთრებით მოსახლეობის ხელმოკლე ფენებს.

იმისათვის, რომ გარკვეულიყვნენ მომხდარ ამბავში, ერთად გამოენახათ შექმნილი ვითარებიდან თავის დაღწევის გზები, სხდომაზე მოიწვიეს იმ სამინისტროთა ხელმძღვანელები, რომლებიც უშუალოდ აგებენ პასუხს როგორც სატრანსპორტო კომპლექსსა და მთლიანად სახალხო მეურნეობაში საქმის ვითარებისათვის, ისე მოსახლეობის სოციალური დაცულობის უზრუნველყოფისათვის. ის, თუ რამ აიძულა მთავრობა ასე მკვეთრად გაეზარდა სატრანსპორტო მომსახურების ფასები, რით იყო განპირობებული ასეთი არაპოპულარული ზომების მიღება, სახელმწიფო საბჭოს მოახსენეს ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ გიორგი ცომაიამ, ეკონომიკის მინისტრმა ომარ ვარძელაშვილმა, ფინანსთა მინისტრმა ვაჟა ჯინჯიხაძემ. მათ სატრანსპორტო კომპლექსის ფინანსურ-ეკონომიკურ მდგომარეობას უწოდეს თითქმის კატასტროფული, გამოავლინეს მიზეზები, რამაც გამოიწვია ეს. კერძოდ, საუბარი შეეხო ფასების შეუკავებელ მატებას, რასაც გვიკარნახებენ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოები — ბენზინისა და სხვა სახეობის სათბობის, თვით სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი სამარაგო ნაწილების მომწოდებლები, იმას, თუ რამდენად მოუმზადებელი აღმოჩნდა ამისა და კიდევ მრავალი სხვა რამისთვის რესპუბლიკა მისი წინანდელი ხელმძღვანელობის ვოლუნტარისტული, პოპულისტური პოლიტიკის შედეგად. არ მოახდინა რა მან თავის დროზე რეაგირება რუსეთსა და სხვა იმ რესპუბლიკებში მიმდინარე ინფლაციაზე, რომლებთანაც საქართველო მანეთის ერთიან ზონაში იმყოფება. იგი ახლა იძულებულია ფასების პოლიტიკა წარმართოს მათი დიქტატით, აღმოჩნდა უაღრესად მძიმე მდგომარეობაში.

აღინიშნა, რომ დროის შედარებით მოკლე პერიოდში მოუწიათ მნიშვნელოვნად მოემატებინათ სატრანსპორტო მომსახურების ფასები. თანაც, რესპუბლიკის ბიუჯეტის მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, ამას ალტერნატივა არ ჰქონია. სხვა საქმეა ის, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმისას წინასწარ უნდა გვეზრუნა მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის, გულმოდგინედ აგვეწონ-დაგვეწონა და გაგვეანალიზებინა ყველაფერი, შეგვემუშავებინა მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემდა კომპლექსურად გადაეჭრა პრობლემა. და ეს პირდაპირ და გულახდილად აღიარა ყველა ორატორმა, მათ შორის სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის საკითხთა მინისტრმა თამაზ გუგუშვილმა, რომელმაც, სხვათა შორის, შენიშნა, რომ მთავრობაში მზადდება დადგენილება ხელმოკლეთათვის შესაბამისი შეღავათების შესახებ, მაგრამ მან, სამწუხაროდ, ვერ მოუსწრო ფასების მორიგ გადიდებას.

ერთმანეთს გაუზიარეს რა აზრები, სახელმწიფო საბჭოს წევრები აღნიშნავდნენ, რომ ეკონომიკის ღრმა კრიზისის პირობებში, რაც მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია რესპუბლიკაში დაძაბული პოლიტიკური და ოპერატიული ვითარებით, მისი სამეურნეო კავშირურთიერთობის დარღვევით და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, ყველაფრის და ყოველივეს მწვავე დეფიციტით, ყოველი ნაბიჯი უნდა იყოს ბოლომდე გააზრებული, რათა მაქსიმალურად უმტკივნეულო გავხადოთ ის არაპოპულარული ზომები, რომელთა მიღებასაც გვაიძულებს ჩვენი მკაცრი სინამდვილე. აღინიშნა, რომ მთავრობის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომლებიც უშუალოდ ეხება რესპუბლიკის მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს, უნდა გავაანალიზოთ ღრმად და ყოველმხრივ, ზედმიწევნით დავხვეწოთ როგორც თვით მთავრობის, ისე სახელმწიფო საბჭოს დონეზე. ეს საშუალებას მოგვცემს, ერთის მხრივ, ავიცილოთ შეცდომები და ნაკლოვანებანი, მეორე მხრივ კი — უფრო მკაფიოდ წარმოვაჩინოთ კურსი, გამოვნახოთ სწორი გზები იმ დიდი და რთული პრობლემების გადაჭრისათვის, რომლებიც დღეს რესპუბლიკის წინაშე დგას. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა წინადადება ერთობლივად გადაისინჯოს მთავრობის მიერ ამ დღეებში დამტკიცებული საქართველოს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტი იმ მიზნით, რომ გამოინახოს ტრანსპორტით სარგებლობისათვის მოსახლეობის ძალზე გაზრდილი ხარჯების თუნდაც ნაწილობრივ დაფარვის შესაძლებლობები.

სახელმწიფო საბჭომ განიხილა საქართველოში მმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნების გამართვის საკითხი. გადაწყდა ეს არჩევნები, როგორც ხელისუფლების აღმასრულებელი, ისე წარმომადგენლობითი ორგანოებისა, გაიმართოს ადგილებზე, მას შემდეგ, რაც მოეწყობა რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები. ამ ეტაპზე კი მიზანშეწონილად ცნეს შეემუშავებინათ დროებითი დებულება მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ. ამავე სხდომაზე მოისმინეს თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებლის ოთარ ლითანიშვილის ინფორმაცია ქალაქის მართვის სტრუქტურის სავარაუდო რეორგანიზაციის შესახებ, რომელიც სახელმწიფო საბჭომ მიიღო ცნობად.

ეკოლოგიური კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას წარდგინებით განიხილეს საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული პარკების შექმნის საკითხი. მოიწონა რა მთლიანად ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მიერ შემოთავაზებული პროექტი რესპუბლიკაში შვიდი ასეთი პარკის შექმნის შესახებ, სახელმწიფო საბჭომ დაავალა ამ კომისიას უზრუნველყოს მისი დახვეწა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. როგორც სხდომაზე აღნიშნა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კონსულტანტმა ექსპერტმა უდო ბირშმა. ეს პროექტი საკმაოდ პერსპექტიულია, რადგან იგი ითვალისწინებს არა მარტო საქართველოს უნიკალური ბუნებრივი სიმდიდრეების დაცვას, არამედ საკმაო რაოდენობის უცხოეთის ინვესტიციებსაც ამ კეთილშობილურ საქმეში. მთლიანად მოიწონეს აგრეთვე რესპუბლიკაში სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის „ნოეს კიდობნის“ (თრიალეთის რეგიონალური პარკი) შექმნის პროექტი, რომლის მიზანი იქნება იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ცხოველთა სახეობების აღდგენა.

სახელმწიფო საბჭომ მესამე მოსმენით განიხილა საქართველოს პროკურატურის შესახებ დეკრეტის პროექტი, რომელიც წარმოადგინა მისი იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ თედო ნინიძემ. მაგრამ ამ დოკუმენტის ცალკეული პუნქტების შესახებ აზრთა ზოგიერთი პრინციპული განსხვავების გამო ამჯერადაც ვერ მიიღეს იგი საბოლოო სახით. იურიდიულ კომისიას დაევალა რესპუბლიკის პროკურატურასთან და იუსტიციის სამინისტროსთან ერთად კიდევ ერთხელ იმუშაოს ამ პროექტზე.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც.

წუხელ შეიტყვეთ

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესია

თითქმის 2 წლის მანძილზე ვაკანტური იყო აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა. გასულ წელს აფხაზეთში მოქმედი დროებითი კანონის — „თანამდებობის პირების არჩევისა და დანიშვნის შესახებ“ თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტი უნდა დაიკავოს აფხაზი ეროვნების მოქალაქემ, ხოლო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა — ქართველმა.

უკვე ოთხი თვეა, რაც აფხაზეთის პარლამენტის ახლანდელმა შემადგენლობამ ვერ გადაწყვიტა ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის არჩევის საკითხი.

4 მაისს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა 56 დეპუტატი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. არძინბამ განაცხადა, რომ დეპუტატთა ნაწილი ცდილობს პარლამენტის მუშაობის პარალიზებას; ჩვენს შორის არიან ადამიანები, თქვა მან, რომლებსაც ხელს აძლევს პარლამენტში ასეთი ვითარება, რისთვისაც შემდგომ პასუხისმგებლობა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს სურთ დააკისრონ. მან დეპუტატებს შესთავაზა აფხაზეთის მთავრობის მეთაურის და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მეთაურების დანიშვნის საკითხები 5 მაისისთვის გადაედოთ და სხდომაზე მოეწვიათ ამ პოსტებზე დასახელებული ყველა კანდიდატი.

სოხუმიდან გადმოგვცეს

5 მაისს სესიის დილის სხდომაზე, რომელსაც ქართველი დეპუტატებიც ესწრებოდნენ, ხმის უმრავლესობით გულრიფშის რაიონის ადმინისტრაციის მეთაურის პოსტზე დაინიშნა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატი დავით გვაძაბია.

საღამოს სხდომაზე კი პარლამენტი შეუდგა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის საკითხის განხილვას.

დეპუტატთა შემთანხმებელმა კომისიამ ამ პოსტზე დაასახელა აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის გივი ლომინაძის კანდიდატურა. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ვ. არძინბამ და დეპუტატებს შესთავაზა მოეწყოთ კენჭისყრა.

სესიის სხდომაზე დამსწრე 58 დეპუტატიდან ფარული კენჭისყრის დროს გ. ლომინაძეს ხმა მისცა 18 დეპუტატმა, 35-მა კი წინააღმდეგ.

არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ ვ. არძინბამ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ასარჩევად დაასახელა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის ინსპექციის უფროსის ვაჟა ზარანდიას კანდიდატურა, რომელსაც მხარს უჭერენ აფხაზი დეპუტატები.

დეპუტატების წინაშე ვ. ზარანდიას გამოსვლის დროს ქართველმა დეპუტატებმა დატოვეს სხდომის დარბაზი, რითაც გამოხატეს თავიანთი პროტესტი აღნიშნული კანდიდატურის მათთან შეუთანხმებლად წამოყენების გამო.

დარბაზში დარჩენილი 36 დეპუტატიდან ფარული კენჭისყრის შედეგად ვ. ზარანდიას კანდიდატურას მხარი დაუჭირა 34 დეპუტატმა.

ამრიგად, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი უკვე აღარ არის ვაკანტური. მას დაიკავებს ვაჟა ზარანდია.

იოსებ ბოზეჩია.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის“
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

მსოფლიო ბანკი თანადგომას გვთავაზობს

შეხვედრა საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

6 მაისს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო მსოფლიო ბანკის ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის პროექტის უფროსი ქალბატონი ელენე კოტოვა და ამავე ინსტიტუტის წამყვანი ეკონომისტი, ბატონი ანდრია ვასილევი.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს საქართველოში ჩამოსვლისა და ჩვენთან მიმდინარე პრივატიზაციის პრობლემებით დაინტერესებისთვის, აღნიშნა, რომ ამ საქმეში არა გვაქვს საჭირო გამოცდილება, ამიტომაც, მიესალმება მსოფლიო ბანკისა და რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივ მისწრაფებას, რომ საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემათა წარმატებით გადაწყვეტის მიზნით, მიმდინარე წლის ივნისის მეორე ნახევარში ჩვენთან გაიმართოს საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ამ დარგის ცნობილი ექსპერტები მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებიდან.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული საერთაშორისო კონფერენციის მუშაობა ისე იქნება ორგანიზებული, რომ რესპუბლიკის სპეციფიკის ფონზე განისაზღვროს პრივატიზაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ძირითადი მიმართულებანი, შემუშავდეს კონცეფცია, რომლის კონკრეტულ ასპექტებს დახვეწავს დარგობრივი სემინარ-კოლოკვიუმები. ეს დაეხმარება ქართველ სპეციალისტებს დასახული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებაში. აღინიშნა ისიც, რომ ამ მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საზღვარგარეთელი ექსპერტები, რომლებიც ჩვენს სპეციალისტებთან ერთად იმუშავებენ საქართველოში საფინანსო და საბანკო რეფორმის აქტუალურ საკითხებზე.

შეეხო რა დღეს საქართველოში მიმდინარე პროცესებს, კერძოდ, კი პრივატიზაციის პრობლემას, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ უნდა ჩამოყალიბდეს პრივატიზაციის სამთავრობო პროგრამა, რომელიც შეისწავლის მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილებას ამ დარგში და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს საქართველოს ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით, ამავე პროგრამით უნდა გავიაზროთ ქართველი სპეციალისტების საზღვარგარეთ მივლინების საკითხები, რაც საბოლოო ჯამში შესაძლებლობას მოგვცემს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში გვყავდეს ამ დარგის ისეთი სპეციალისტები, რომელთა მომზადების დონე დააკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

პრივატიზაცია, ეკონომიკის, საფინანსო თუ საბანკო სისტემის რადიკალური რეფორმა, თანაც ისეთ ქვეყანაში, რომელიც დღეს სერიოზულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, ითქვა შეხვედრაზე, მტკივნეული პროცესია და ერთიან, მიზანმიმართულ კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. აქ უპირველესად უნდა გავითვალისწინოთ, ჩვენი მოსახლეობის სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხები, გაღატაკებამდე არ მივიყვანოთ ისედაც მძიმე გასაჭირში ჩავარდნილი თანამოძმენი. შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფო საბჭოს წევრი, პროფესორი ვალერიან ადვაძე, არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრი გურამ მირიანაშვილი, მრეწველობის მინისტრი ბესარიონ ჯუღელი, ფინანსთა მინისტრი ვაჟა ჯინჯიხაძე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნოდარ კაკულია და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

გია ჭელიძე.

ედუარდ გუდავა:

საქართველოს ისტორიული შანსი გაუჩნდა

ისინი თავიდან ყველანი ერთად იყვნენ — თანამოაზრენი, ერთი იდეით გამსჭვალულები, ერთი მიზნისკენ მავალნი. მერე მათი გზები გაიყო. ზოგი პრეზიდენტი გახდა, ზოგი მის ოპოზიციაში მოექცა, ზოგი ისე გამოეთხოვა სიცოცხლეს და შეუერთდა მარადიულობას, თავისი სამშობლოს თავისუფლებას ვერ მოესწრო და ამის ნატვრა თან გაიყოლა, ზოგიც სამშობლოდან ცხრა მთას იქით გადაიხვეწა.

ძმები თენგიზ და ედუარდ გუდავები რამდენიმე წელი საპყრობილეებში ჯდომის შემდეგ 1987 წელს ემიგრაციაში წავიდნენ.

— ამის შემდეგ მოვლენები ისე წარიმართა, ისეთი დინამიზმი შეიძინა ყოფილ საბჭოთა კავშირში პოლიტიკურმა ცხოვრებამ, ისეთი თავბრუდამხვევი ტემპით წარიმართა იმპერიის რღვევის პროცესი, რომ გაოგნებულებს ყველაფრის აღქმა გვიჭირდა კიდეც. ეროვნული მოძრაობაც სწორედ ამ დროს გამოვიდა იატაკქვეშეთიდან. ყველაფერმა ერთად ბოლოს მოგვიტანა ნანატრი დამოუკიდებლობა... — ამბობს აქედან წასვლის შემდეგ სამშობლოში პირველად, უკვე საქმიანი წინადადებით ჩამოსული ედუარდ გუდავა. დღეს იგი ნიუ-იორკის დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციის—დემოკრატიული ცენტრის დირექტორია. ცნობისთვის: ცენტრი ერთადერთი ორგანიზაციაა დასავლეთში, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული მოძრაობის მხარდამჭერი პროგრამა აქვს.

წარმომიდგენია: ალბათ განსაკუთრებული გრძნობაა ამდენი ხნის განშორების შემდეგ სამშობლოსთან შეხვედრა. განსაკუთრებულია ეს შეხვედრა, ალბათ იმიტომაც, რომ ის, რისთვისაც სიყმაწვილის საუკეთესო წლები სუკის იზოლატორებსა და საპყრობილეებში გაგიტარებია, რაც სიცოცხლეზე ძვირად გიღირდა, აღსრულებულა. ამიტომ ვიდრე იმ კონკრეტულ მიზნებზე ვკითხავდე სტუმარს, რომლებმაც იგი ამჯერად აქ ჩამოიყვანა, ჯერ პირველ შთაბეჭდილებას ვკითხები, რომელიც მშობლიურ მიწაზე ფეხის დადგმისას გაუჩნდა.

— უცნაური განწყობილება დამეუფლა. პირველი, რაც თვალში მომხვდა, ეს იყო ჭუჭყიანი გარემო, სიბინძურე, რაც დასუფთავებულ-დაწკრიალებულ დასავლეთთან შედარებით იმხელა კონტრასტს ქმნის, რომ უთუოდ პირველი გეჩხირება თვალში.

მერე — ადამიანთა სახეები, მათი გამომეტყველება, სევდიანი თვალები. ეს ხომ ჩვენი ლაღი, ხალისიანი ხალხისთვის არასოდეს ყოფილა დამახასიათებელი. ჩანს, დეპრესია მართლაც სერიოზულად დაგვუფლებიათ.

ამასობაში რუსთაველზეც მივედით. სი-ენ-ენის კადრები კი მქონდა ნანახი, მაგრამ საკუთარი თვალით ხილულის შთაბეჭდილებას მაინც ხომ არაფერი შეედრება. ენაჩავარდნილი, გახევებული ვიდექი და უმწეოდ ირგვლივ ვიყურებოდი... რა გითხრათ... მე ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ აქ ასეთი რამ შეიძლებოდა დატრიალებულიყო. არასოდეს არავის დავუჯერებდი, რომ ეთქვა, ქართველი ქართველს ესვრისო. ეს დაუჯერებელი იყო ჩემთვის. ჩანს, ვცდებოდი.

— ვიცი, საქართველოში თქვენს ჩამოსვლას კონკრეტული მიზანიც აქვს.

— კი, ბატონო. დასავლელმა ხელისუფლებმა, კორპორაციებმა და კერძო ფონდებმა დაიწყეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დახმარების პროგრამის განხორციელება. დახმარებათა სახეები სხვადასხვაგვარია. სხვა რესპუბლიკებისგან განსხვავებით საქართველოს დასავლეთში არა აქვს არც ერთი დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა დასავლეთის დახმარების უტილიზაციის ამ რთულ და მრავალმხრივ პროცესში შუამავლის როლის შესრულებას.

ჩვენ გადავწყვიტეთ ამგვარი როლი დავაკისროთ ამერიკა-ქართულ ფონდს, რომელიც შეეცდება ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების, სხვადასხვა ფონდის კორპორაციების, კერძო პირთა დახმარებით საქართველოში განახორციელოს პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული პროექტები.

— ფონდის ერთიანი, მთლიანი პროგრამა, ალბათ, რაღაც მიმართულებებად იქნება დაყოფილი.

— ეს პროგრამა პირობითად ბაზისურ, ესე იგი მუდმივ, და სხვა განყოფილებებად იყოფა. გათვალისწინებულია სხვა ორგანიზაციებთან კოორდინაცია და მათი მიზიდვა.

მუდმივმოქმედი პროგრამებია, მაგალითად 1. საინფორმაციო ქსელი, 2. ვიდეოპროექტი (რომლებიც აქედან წამოსული სხვადასხვა სახის ინფორმაციის გავრცელებას მოემსახურება), 3. ტექნიკური და მატერიალური დახმარება დამოუკიდებელ ჟურნალისტებს, გამომცემლობებს, პრესსააგენტოებს და დამოუკიდებელ დემოკრატიულ ორგანიზაციებს.

ამ მუდმივმოქმედ პროგრამებთან ერთად ფონდი მოძებნის აგრეთვე ფინანსურ დახმარებას სხვა პროექტების ორგანიზაციისთვის შემდეგ სფეროებში: ეკონომიკა, პოლიტიკა, შეიარაღებული ძალები, გარემოს დაცვა, სამოქალაქო უფლებები და მოვალეობანი (განათლება), ჰუმანიტარული საკითხები.

— ვხედავ, ამოცანები საკმაოდ სერიოზულია.

— ჩვენ შევეცდებით ყველაფერი ვიღონოთ, რათა ის ისტორიული შანსი, საქართველოს რომ დაუდგა ახლა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ, თორემ შეიძლება ყველაფერი გვიან იყოს შემდეგ. აქ კი უმთავრესი ახლა ერთიანობაა. მესმის, ეს სათქმელად არის იოლი, მაგრამ ყველა ქართველმა დღესდღეობით, იმის მიუხედავად, თუ რომელ ნაპირზე დგას, უნდა შეიგნოს, უნდა შევიგნოთ რომ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი შვილების მომავალი უფრო მეტია, ვიდრე ცალკეულ პოლიტიკოსთა ღირსება-ნაკლოვანებები. არადა, საქართველოს ყველა მონაცემი აქვს იმისთვის, რომ უმოკლეს ხანში თამამად ჩადგეს მსოფლიოს ცივილიზებულ სახელმწიფოთა რიგში, თუ ეს არ ვქენით, საქართველო სამუდამოდ დარჩება ჩამორჩენილ ქვეყნად, რომელიც ჩიხიდან ძნელად თუღა გამოვა ოდესმე. ისე რომ, ავირჩიოთ...

გალინა ხარებაშვილი.

ნომერში

● „ეკონომიკური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა...“ 2
● საგამომცემლო საქმის პრობლემები. 3
● რა ვუთხრათ ჩვენს პატარებს? 4

ინფორმაცია

ტელეფონით □ ტელეტაიპით

შეხვედრა გერმანიის ელჩთან

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი შეხვდა გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს გიუნტერ დალჰოფს. გაიმართა მეგობრული, საქმიანი საუბარი.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორი ქვეყნის იუსტიციის სამინისტროებს შორის თანამშრომლობის საკითხს, იმ გარემოებას, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე საქართველოს დასჭირდება საკანონმდებლო საქმიანობაში გერმანიის გამოცდილების გაზიარება, გერმანელი ექსპერტების მოწვევა და სხვ. აღინიშნა საქართველოს რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროებს შორის სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულების დადების აუცილებლობის თაობაზე.

ბატონმა ჯონი ხეცურიანმა გერმანიის ელჩს გააცნო საქართველოს კანონმდებლობაში არსებული მდგომარეობა.

ბატონმა გიუნტერ დალჰოფმა დახმარება აღუთქვა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს და აღნიშნა, რომ ამ სამინისტროს შორის ხელშეკრულების დადების წინადადებას გააცნობს გერმანიის მთავრობასა და იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობას. ამასთან გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ გერმანია ყოველმხრივ დაეხმარება საქართველოს სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში.

„მშვიდობით იარაღო“

შაბათს, 9 მაისს, რესპუბლიკის მოედანზე, საქართველოს მწვანეები აწყობენ აქციას „მშვიდობით იარაღო“. აქციის მიზანია წარმოადგინოს ომების, ადამიანის მიერ ადამიანის წინააღმდეგ იარაღის აღმართვის საშინელება. პატივი მიაგონ ომებში დაღუპულ ჩვენს თანამემამულეებს, რათა ძალადობას ერთხელ და სამუდამოდ ვუთხრათ უარი!

აქცია „მშვიდობით იარაღო“ დაიწყება დილის ათზე და ღამის თორმეტ საათამდე გასტანს.

ეს დღე აღსავსე იქნება სანახაობებით, მოეწყობა სპორტული თამაშობები, ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. აქციაში მონაწილეობას მიიღებენ ბავშვები, რომლებიც მოედანზე დახატავენ ნახატებს და ამასთან სახალხოდ, საზეიმოდ გაანადგურებენ იარაღს. აქვე დღის ოთხ საათზე გაიმართება კონცერტი. მაყურებლებს სხვა საინტერესო სანახაობებიც ელოდება. ეს გვაცნობა საქართველოს მწვანეების პრესცენტრმა.

ზუგდიდში ვითარება კვლავ დაძაბულია

ზუგდიდის კომენდანტის, პოლკოვნიკ ალეკო ცხვარაძის ცნობით, ზუგდიდში ღამით შედარებით სიმშვიდე იყო. მოხდა ორი აფეთქება, რასაც არ მოჰყოლია მსხვერპლი და შენობა-ნაგებობათა დაზიანება. აქ კვლავ არ მუშაობენ წარმოება-დაწესებულებები, გარდა პურის ქარხნისა და საავადმყოფოებისა. არ მუშაობს ტრანსპორტი.

5 მაისს კინოთეატრ „საქართველოს“ წინ გაიმართა ექსპრეზიდენტის მომხრეთა საინფორმაციო მიტინგი, რომელსაც უძღვებოდნენ ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრები ზურაბ ნადარეიშვილი და დავით ქობალია. ისინი მომიტინგეებს მოუწოდებდნენ დაუმორჩილებლობისაკენ.

6 მაისს ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ტროლეიბუსები გასულიყვნენ ხაზზე, მაგრამ დილით მაღალი ძაბვის ხაზი გადაჭრილი აღმოჩნდა. მხოლოდ რამოდენიმე სკოლაში განახლდა სწავლა მცირე დასწრებით.

ზუგდიდში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით გაიმართა ტრანსპორტისა და ვაჭრობის მუშაკთა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს საგანგებო რწმუნებული სამეგრელოს ზონაში გ. ხაზალია, ზუგდიდის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარე ო. ფაცაცია, რაიონის პროკურორი ი. ჭანტურია, შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი მ. რაფავა.

თათბირის მონაწილეებს მიეცათ დავალება, რომ აუცილებლად განაახლონ მუშაობა, მაგრამ ტრანსპორტისა და ვაჭრობის მუშაკებმა სამართლიანად მოითხოვეს მოძალადე პირთაგან თავიანთი უსაფრთხოების დაცვა.

ეს ინფორმაცია გუშინ გადმოგვცა ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა თემურ ბურდილაძემ.

ააფეთქეს რკინიგზის ხიდი

6 მაისს, დილის 11 საათზე ორი ავტომატით შეიარაღებული უცნობი პირი თავს დაადგა ზესტაფონი-ხაშურის რკინიგზის გადასარბენის ლაშის ახაქცევის საგუშაგოს მორიგეს, რომელსაც პოსტი დაატოვებინეს. ამავე დროს საგუშაგოს მოადგა მსუბუქი ავტომანქანა, საიდანაც გადმოტვირთული ასაფეთქებელი ნივთიერებით ხიდი ააფეთქეს. დაზიანდა აგრეთვე საკონტაქტო ქსელი. ბოროტმოქმედნი თავიანთი ავტომანქანით ზესტაფონის მიმართულებით მიიმალნენ.

შემთხვევის ადგილზე მოვიდნენ ხარაგაულის რაიონის სამართალდამცავი ორგანოს მუშაკები. მიმდინარეობს გამოძიება.

რკინიგზის ამ მონაკვეთზე გვიან ღამით განახლდა მოძრაობა. ეს გვაცნობა ჩვენმა საკუთარმა კორესპონდენტმა ჰენრი შარიქაძემ.

აშხაბადში დააკავეს ჟურნალის რედაქტორი

თურქმენეთის მილიციამ აშხაბადის აეროპორტში ბრალდების წაუყენებლად დააკავა თურქმენეთის პირველი დამოუკიდებელი ჟურნალის „დაიანჩის“ დამფუძნებელი და რედაქტორი მუჰამედ მურატ სალამათოვი.

მილიციის მუშაკებმა ყოველგვარი განმარტების გარეშე კონფისკაცია უყვეს ჟურნალის საგანგებო გამოშვების 2 ათასი ეგზემპლიარი.

რესპუბლიკის ზოგიერთი დამოუკიდებელი ჟურნალისტის აზრით, ტირაჟის დაყადაღების მიზეზი გახდა ის, რომ ჟურნალი აკრიტიკებს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, კერძოდ, თურქმენეთის პრეზიდენტს საფარ მურად ნიაზოვს და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს სერდარ ჩარიაროვს, რომელიც წინათ სუკ-ის სისტემაში მუშაობდა.

● განგაშის ზარი

ყაჩაღური თავდასხმები საავადმყოფოებზე

თითქმის ყოველ დღე თბილისის საავადმყოფოებს თავს ესხმიან შეიარაღებული პირები. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პრესცენტრში უთხრეს, მარტო უკანასკნელი დღეების მანძილზე შეიარაღებული ბოროტმოქმედები არაერთხელ შეიჭრნენ ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში, თბილისის პირველ, მეოთხე, ფიზიო-პულმონოლოგიურ საავადმყოფოებში, № 2 პოლიკლინიკურ განყოფილებასა და სხვა სასწავლო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. მათ მოიტაცეს ასობით მწვავე დეფიციტური ნარკოტიკული საშუალებების ამპულა, რამაც საფრთხე შეუქმნა ავადმყოფთა სიცოცხლეს.

ონკოლოგიურ ცენტრში ბანდიტები რეგულარულად „სტუმრობენ“ — რამდენჯერმე კვირაში. იარაღის მუქარით მათ მიაქვთ ნარკოტიკული პრეპარატები, რომლებიც მწვავედ სჭირდებათ კიბოთი დაავადებულებს. თბილისის ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში იძულებული გახდნენ, შეეწყვიტათ ქირურგიული ოპერაციები, რადგან ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს ნარკოტიკების მთელი მარაგი, ურომლისოდაც შეუძლებელია ქირურგიული ჩარევა. საქალაქო ფსიქიატრიულ საავადმყოფოდან გაიტაცეს არა მარტო მიკროსკოპი, ექვსი კონდიციონერი, მრავალი ტელეფონის აპარატი, ორი მაგნიტოფონი, არამედ... უნიტაზიც კი. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

კატასტროფული ვითარება შეიქმნა თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურებში. თითქმის ყოველ მეორე მანქანას თავს ესხმიან შეიარაღებული დამნაშავენი, რომლებსაც ვერ უმალავენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს. ფიზიკურად სამედიცინო ბრიგადების წევრებს შეურაცხყოფენ, სცემენ. მძღოლები უარს ამბობენ ღამის ცვლაში მუშაობაზე.

თუ უახლოეს ხანში არ განხორციელდა დამნაშავეთა ხელყოფისაგან სამედიცინო მუშაკთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ქმედითი ღონისძიებანი, მაშინ, როგორც ჯანმრთელობის სამსახურის მუშაკებმა თქვეს, ისინი მიმართავენ უკიდურეს ზომას — გაიფიცებიან.

გზად მომავლისკენ

ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა

რევაზ ჩოდრიშვილი,
თბილისის სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური კოოპერატივის „ეფექტი-88" გამგეობის თავმჯდომარე და სამეცნიერო ხელმძღვანელი.

> **„დღეს თითოეული ჩვენთაგანი გრძნობს, რომ აქამომდე მივიწყებულს ეკონომიურ მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის; რომ ეკონომიური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯნეთ და ვიამაგოთ".**
>
> **ილია ჭავჭავაძე.**

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის დღევანდელი უმწვავესი კრიზისის პირობებშიც კი აქტუალურია დიდი ილიას საუკუნისწინანდელი ეს ღრმადგააზრებული მოწოდება. სწორედ ამ უპირველესი ამოცანის, „ტანში გამართვის" პრობლემის გადაწყვეტას უნდა მოვახმაროთ ყველამ ჩვენი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარმა რესპუბლიკაში მცხოვრებმა ყოველმა მოქალაქემ, ქართველი იქნება ეს, თუ აფხაზი, ოსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი ან სხვა ეროვნების წარმომადგენელი.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ამ ურთულესი ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს ზოგიერთი არაორდინარული ღონისძიების გონივრულად გატარებას. ერთ-ერთ მათგანზე — სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების მექანიზმის შექმნაზე გვინდოდა შეგვეჩერებინა სწავლულ-პრაქტიკოს ეკონომისტთა და ფინანსისტთა ყურადღება, რათა აზრთა ურთიერთგაზიარების შედეგად და ყოველგვარი წინდაუხედავი ნაბიჯების გადაუდგმელად, როგორც დიდი ილია ბრძანებს, უფრო უკეთ „გავისარჯნეთ და ვიამაგოთ", „ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა".

საქსახსტატკომის უკანასკნელი მონაცემებით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სახსრების საერთო ღირებულება შეადგენს 56,3 მლრდ მანეთს. აქედან: საწარმოო სფერო 42,5 მლრდ მანეთი (მრეწველობა — 16,5 მლრდ მან, სოფლის მეურნეობა — 9,6; მშენებლობა — 3,1; ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა — 6,0; ვაჭრობა, საზკვება და სხვა — 6,3 მლრდ მანეთი), არასაწარმოო სფერო — 13,8 მლრდ მანეთი (საბინაო მეურნეობა — 7,1 მლრდ მან; კომუნალური და საყოფაცხოვრებო — 3,8; ჯანდაცვა, განათლება, მეცნიერება და სხვა — 3,9 მლრდ მანეთი).

რაც შეეხება სახელმწიფო ქონების პრივატიზებისათვის განკუთვნილი საორიენტაციო სახსრების ოდენობას, მათი დადგენა შეიძლებოდა, თუ მოვიყვანდით რესპუბლიკის მოსახლეობაში და შრომით კოლექტივებში ამჟამად არსებულ ყველა სახის ფინანსური სახსრებისა და ბანკების გრძელვადიანი კრედიტების შესაძლო გაცემის მონაცემებს.

რესპუბლიკის მოსახლეობას ამჟამად აქვს: ფასიანი ქაღალდებისა და ბანკის ანაბრების სახით — 11,9 მლრდ მანეთი (საქსახსტატკომის უკანასკნელი მონაცემებით), ხოლო ნაღდი ფულის სახით — 6,0 მლრდ მანეთი (ეროვნული ბანკის სპეციალისტთა საორიენტაციო გაანგარიშებით).

წარმოების განვითარების ფონდებში აქვთ: სახელმწიფო საწარმოებს — 0,9 მლრდ მანეთი, სამეურნეო საზოგადოებებსა და ამხანაგობებს — 0,5 მლრდ მანეთი, კოოპერატივებს — 0,1 მლრდ მანეთი. ბანკების მიერ გრძელვადიანი კრედიტების წლიურმა გაცემამ შესაძლებელია მიაღწიოს 2,0 — 2,5 მლრდ მანეთს.

თუ მივიღებთ მხედველობაში ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის გასული წლის ნოემბერში შემუშავებულ ღონისძიებათა პროგრამაში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების პროცესის რეგულირება უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წილის ოპტიმალურ სიდიდემდე (ვთქვათ, 30-40 პროცენტამდე) შემცირებას" (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წ. 14 ნოემბერი), ადვილი გასაგები ხდება, რომ პრივატიზებული ქონების საერთო ღირებულებამ უნდა შეადგინოს 34-39 მლრდ მანეთი.

მაგრამ სახელმწიფო ქონების პრივატიზებაზე შესაძლებელია მოსახლეობამ და შრომითმა კოლექტივებმა წარმართონ უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ 12 მლრდ მანეთამდე. მაშ რაღა ვუყოთ 22-27 მლრდ მანეთის ღირებულების დანარჩენ საპრივატიზაციო ქონებას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა კიდევ უფრო გაძნელდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების (საერთო ღირებულებით 34-39 მლრდ მანეთი) ფასმა საპრივატიზაციო პერიოდში (1992-1993 წწ; ამ პერიოდის ხელოვნური გაჭიანურება ვერ მოგვიტანს სასურველ შედეგს) ჰიპერინფლაციური პირობების გათვალისწინებით შესაძლებელია მიაღწიოს 100-120 მლრდ მანეთს და გაცილებით მეტსაც.

შექმნილ ვითარებაში ბევრ სპეციალისტს მიაჩნია, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზება, გარდა მისი აუქციონებზე გაყიდვის (კონკურსების ჩატარებისას მოსალოდნელია გარიგებები) და შრომით კოლექტივებზე შეღავათიანი მიყიდვისა (საბალანსო ღირებულებიდან ცვეთის გამოკლებით, შემდგომი გამოსყიდვის უფლებით, დაბალპროცენტიანი გრძელვადიანი სესხების გაცემით და სხვა), უნდა მოხდეს რესპუბლიკის ყოველ მოსახლეზე ხელისუფლების მიერ გაცემული საშუალოდ არა ნაკლები 4 ათასი მანეთის ღირებულების სერთიფიკატით (მომუშავის სტაჟისა და საშუალო ხელფასის გათვალისწინებით 2000-დან 10000 მანეთამდე), ამ უკანასკნელის თავისუფალი გაყიდვის უფლებით.

სახელმწიფო ქონების ამგვარი ნაწილობრივი უფასო პრივატიზების მიზანშეწონილობაზე მეტყველებენ შემდეგი ფაქტორები:

ჯერ ერთი, სახელმწიფო ქონების პრივატიზებისათვის მოსახლეობისა და შრომითი კოლექტივების შესაძლებლობები, როგორც ზემოთ იყო მოხსენიებული, არ აღემატება 12 მლრდ მანეთს, ხოლო კერძო საკუთრებად უნდა მოექცეს სახელმწიფო ქონება, რომლის ღირებულება შეადგენს 34-39 მლრდ მანეთს და საორიენტაციო ფასი კი — 100-120 მლრდ მანეთს. ცხადია, რომ ასეთ პირობებში პრივატიზებას დაექვემდებარება და კერძო საკუთრებად გადავა სახელმწიფო ქონების არა 60-70 პროცენტი, როგორც ეს ზემოთ მოხსენიებულ ღონისძიებებითაა გათვალისწინებული, არამედ მხოლოდ 10-12 პროცენტი. რაც ამთავითვე გამორიცხავს დასახული მიზნის მიღწევას. **გამოსავალი? ერთადერთი — სახელმწიფო ქონების ნაწილობრივი უფასო პრივატიზება!**

მეორე. გაუგებარია, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ სახელმწიფო საწარმოთა ნაწილობრივი უფასო პრივატიზება საქართველოში, თუკი მას ითვალისწინებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა „მოკავშირე" რესპუბლიკა, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ჩათვლით (ერთ მოსახლეზე საშუალოდ 5-7 ათასი მანეთის ოდენობით) და რის აშკარა მოწინააღმდეგეც იყო მხოლოდ ე. წ. ცენტრი! რაც შეეხება ჩვენს რესპუბლიკაში შედარებით უფრო ნაკლები ღირებულების (4 ათასი მანეთი) სერთიფიკატის გათვალისწინებას, იგი გამოწვეულია წლების მანძილზე ე. წ. ცენტრის მიერ ჩვენთვის **„გადმოგდებული" შედარებით უფრო ნაკლები ოდენობის კაპიტალური დაბანდებებით და აქედან გამომდინარე, ძირითადი ფონდების ნაკლებობით** (მაგალითად, საწარმოო დანიშნულების ძირითადი ფონდები 1 სულ მოსახლეზე მოდის: ესტონეთში — 8,4 ათასი მანეთი, რუსეთში — 8,0; ლიტვაში — 7,4; ყაზახეთში — 6,8; ბელორუსიაში — 6,4; უკრაინაში — 5,6; თურქმენეთში — 5,3; საქართველოში — 4,9; მოლდოვეთში — 4,8; სომხეთში — 4,4; აზერბაიჯანში — 4,3 ათასი მანეთი, ბოლო ადგილებზეა ტაჯიკეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი — 2,7-3,4 ათასი მანეთით).

მესამე, აუცილებელია გამოვიყენოთ სახელმწიფო საწარმოთა ნაწილობრივი უფასო პრივატიზება საქართველოში, რადგან ჩვენსავე რესპუბლიკაში კანონმდებლობა ითვალისწინებს საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ცალკეული ობიექტების რიგ შემთხვევებში უსასყიდლო გადაცემას სახელმწიფო საწარმოთა მომავალ კერძო მესაკუთრეებზე! **ნუთუ ერთნი (შეძლებულნი) ნაყიდი ქონების შემდეგ უსასყიდლოდ უნდა იძენდნენ დამატებით სახელმწიფო ქონებას, ხოლო მეორენი (ღარიბები) — საერთოდ არაფერს?!**

მეოთხე, გასარკვევია, სახელმწიფო საწარმოთა შრომით კოლექტივებზე თუ ვრცელდება გარკვეული შეღავათები სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას, **რატომ არ უნდა შევუქმნათ თანაბარი უფლებები მასწავლებლებს, ექიმებს, სახელმწიფო დაწესებულებების სხვა თანამშრომლებს და ბოლოს, პენსიონერებს?! ნაწილობრივ უფასო პრივატიზებაში ხომ რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობაა დაინტერესებული და განსაკუთრებით სოციალურად ნაკლებად დაცული ფენები! სხვაგვარად ნამდვილად ვერ მოხერხდება საქართველოში კერძო საკუთრების პრიორიტეტის დამკვიდრება, ურომლისოდაც წარმოუდგენელია დაცული იყოს ადამიანის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული თუ სხვა სახის უფლებები.**

მეხუთე, მითუმეტეს უნდა გამოვიყენოთ სახელმწიფო საწარმოთა ნაწილობრივი უფასო პრივატიზება საქართველოში, **რადგან ჩვენსავე რესპუბლიკაში ვითვალისწინებთ სახელმწიფო ბინების უფასო პრივატიზებას?!**

მეექვსე, ნუთუ სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება იმიტომ გვინდა, რომ **სახელმწიფოს ხელში ისევ მოხვდეს განუსაზღვრელი ოდენობის ფულადი სახსრები და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ძველებურად ხელებში შემყურებდეს ხელისუფლებას?! პრივატიზების პროგრესულობა პირველ რიგში ხომ სამეწარმეო საქმიანობის უკეთ წარმართვაში მდგომარეობს! ნაწილობრივი უფასო პრივატიზება პრაქტიკულად ხომ ყველას, მდიდარსაც და ღარიბსაც ერთნაირად აძლევს შესაძლებლობას გახდეს სახელმწიფო ქონების წილის მეპატრონე! ასეთ პირობებში განა უფრო არ გამოჩნდებიან ნიჭიერი და უნარიანი მეწარმენი?**

სახელმწიფო საწარმოთა ნაწილობრივი უფასო პრივატიზების ჩატარების მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში **აუცილებელი გახდება „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" კანონის მე-7 მუხლში, იქ სადაც ჩამოთვლილია სახელმწიფო საწარმოს შესაძენად საჭირო სახსრების 4 წყარო** (მოქალაქეთა პირადი დანაზოგები, სამეურნეო ამხანაგობებისა და საზოგადოებების საკუთარი სახსრები, ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში დარჩენილი სახსრები და ნასესხები სახსრები), **დაემატოს მეხუთე წყაროც — „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გაცემული სერთიფიკატები".**

მანამდე კი, სანამ შემუშავდება და რესპუბლიკის მოსახლეობას საჯარო განხილვისათვის წარედგინება სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების ხელშემწყობი სამთავრობო პროგრამა, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა სპეციალისტების ყურადღება გაგვემახვილებინა რამდენიმე იმ ძირითად ღონისძიებაზე, **რომელთა ცხოვრებაში სასწრაფოდ გატარება გარდაუვალად გვესახება.**

როდესაც ვამბობთ, რომ რესპუბლიკის მოსახლეობა და შრომითი კოლექტივები სახელმწიფო ქონების პრივატიზებისათვის უკეთეს შემთხვევაში გაიღებენ 12 მლრდ მანეთს, ეს, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს შესაძლებლობის აუცილებელ განხორციელებას. ამისათვის **სასწრაფოდაა მისაღები სათანადო საკანონმდებლო გარანტიები, რათა მომავალში კერძო მეწარმე ნამდვილად დარწმუნდეს მის მიერ გაღებული სახსრების ხელშეუხებლობაში.**

სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება ვერ აიღებს წინასწარ გათვლილ ტემპს და ვერ მიაღწევს სასურველ შედეგს, **თუ კი სასწრაფოდ არ გავატარებთ საგადასახადო კანონმდებლობის დასაბუთებულ ლიბერალიზაციას და არა ხელაღებით,** როგორც ამას მოითხოვენ ზოგიერთნი. ახალბედა მეწარმეს, რომელიც ბავშვივით ახლა იდგამს ფეხს, ეროვნული ხელისუფლება საკუთარი მშობლივით თავზე უნდა ადგეს. ჩვენ კი „მივაღწიეთ" არნახულს — ყოველი 100 მანეთის წარმოებულ პროდუქციაზე 68 მანეთი მოდის ათასგვარი სახის გადასახადებზე. მარტო დანარიცხები ხელფასის ფონდზე უკანასკნელი 6 წლის მანძილზე გაიზარდა საშუალოდ 4,4-ჯერ და ამჟამად შეადგენს 41 პროცენტს (37+3+1). ამასთანავე, მთელი რიგი შეღავათებით გათვალისწინებულმა საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაციამ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამორიცხოს ზოგიერთი გამკაცრებული პირობის დაწესებაც. **გადასახადებში გამკაცრებული პირობის გაუთვალისწინებლობა, მაგალითად, იმ საწარმოების მიმართ, რომლებიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის „მოტივით" შეამცირებენ წარმოების მოცულობას „წინა პერიოდთან შედარებით, რა „ობიექტური" მიზეზებითაც უნდა გამომდინარეობდეს ეს ყოველივე, ნამდვილად ვერ გაზრდის ახლო მომავალში ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ ეროვნულ შემოსავალს და ვერ გამონახავს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავალ გზებს, როგორც ამას ჯერჯერობით ვერ ახერხებენ აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნები სწორედ იმ მიზეზით, რომ მათი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გადასახადების გამკაცრებულ პირობებს და ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ შეღავათებს".**

სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება ნამდვილად უფრო გაადვილდებოდა, სასწრაფოდ რომ არ შევმდგარიყავით ფასების ლიბერალიზაციის გზაზე. ამ იძულებითი ღონისძიების წარმართვა ფულის რეფორმის და პრივატიზების გატარების გარეშე რომ ჰიპერინფლაციურ პროცესებს გამოიწვევს, ამას წინასწარვე უნდა ველოდოთ. მაგრამ სხვა გზა ჩვენ აღარ გვქონდა დარჩენილი, ვინაიდან რუსეთის ეკონომიკურ პოლიტიკაში გადადგმული ამ, აშკარად მცდარი ნაბიჯის შედეგად თითქმის ყველა ყოფილ რესპუბლიკაში, უკვე „აუშვეს" ფასები ფულის რეფორმის და პრივატიზების გატარების გარეშე და თუ ჩვენც ამ გაუმართლებელ და იძულებით ღონისძიებას იგივეთი არ ვუპასუხებდით რაც შეიძლება მალე, უკვე ნამდვილად დიდხანს ველარ შევძლებდით წამოგვეყენებინა ფეხზე ჩვენი ისედაც დაუძლურებული ეკონომიკა. რაც შეეხება პირველი მოთხოვნილების საქონელს, **აქ ფასები საწყის ეტაპზე უნდა იყოს ზღვრულიც, თავისუფალიც. ამასთანავე, გასათვალისწინებელია მოსახლეობაზე ბიუჯეტიდან სათანადო კომპენსაციების გაცემა, ნაცვლად შესაბამის საწარმოებზე იმავე ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 1,5-2,0 მლრდ მანეთის დოტაციების გაცემის წლების მანძილზე არსებული ნეგატიური მოვლენების აშკარად ხელშემწყობი პრაქტიკისა.** ფასების ზრდასთან დაკავშირებული ასეთივე კომპენსაციების დარიცხვა უნდა ხდებოდეს ბანკებში ინდივიდუალურ ანაბრებზეც და შრომითი კოლექტივების ფულად ანგარიშებზეც. ეს უკანასკნელი, სამწუხაროდ, **არ გაკეთებულა შარშანდელ აპრილში მთავრობის მიერ შემოღებული ფასების ზრდისას.**

სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება **უნდა დაიწყოს ზემოდან ყოველგვარი კარნახის და რიგითობის გარეშე ერთდროულად,** როგორც მცირე და საშუალო საწარმოების, ასევე მსხვილებსაც ამ უკანასკნელთა ბაზაზე სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბებით; თანაც **განურჩევლად იმისა, თუ სახალხო მეურნეობის რომელ დარგს განეკუთვნებიან ისინი.**

ყველაზე დიდი ხვედრითი წილი პრივატიზებული საწარმოებისა უნდა იყოს სოფლის მეურნეობაში — არანაკლებ 90-95 პროცენტისა, **დარგში, რომელზედაც ამ ეტაპზე ყველაზე უფრო მეტად უნდა იზრუნოს ეროვნულმა მთავრობამ.** რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ჭეშმარიტი (და არა ქაღალდზე) აღორძინება პირველ რიგში მოითხოვს ამ დარგის მანქანა-იარაღებით აღჭურვას. ამისათვის კი **საჭიროა სასწრაფოდ განახლდეს მოლაპარაკება იტალიურ ფირმა „გოლდონისთან", რაგინდ მაღალპროცენტიანი მყარი ვალუტის კრედიტის აღებასთან გვქონდეს საქმე, მით უმეტეს, რომ საკითხი ეხება არა მარტო დარგის მანქანა-იარაღებით აღჭურვას, არამედ სათანადო სერვისის მოწყობასა და ამ მანქანების მწარმოებელი ერთობლივი კონცერნის ჩამოყალიბებას.**

სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება გულისხმობს **ამ საწარმოთა სრულ დამოუკიდებლობას, რაც სრულიადაც არ გამორიცხავს საგადასახადო ინსპექციებზე დაკისრებულ საწარმოთა კონტროლს მხოლოდ და მხოლოდ ფაქტიური გადასახადების სისწორის თაობაზე.** ამასთანავე ყოვლად გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს ის რეალური მდგომარეობა თუნდაც თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ისეთ პატარა რესპუბლიკაში, როგორიც საქართველოა, დარგობრივი სამინისტროების პარალელურად მოქმედებენ რესპუბლიკური სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებები.

სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სამთავრობო პროგრამის შემუშავების დაჩქარება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული გასული წლის ნოემბერში დაფუძნებულ **რესპუბლიკის არასახელმწიფოებრივი სამეურნეო საზოგადოებების გაერთიანებულ კავშირზე, რომელსაც დაეკისრა როგორც ზრუნვა რესპუბლიკაში კერძო მეწარმეობის განვითარებისათვის, ასევე კერძო მესაკუთრეთა ინტერესებისა და უფლებების რეალური დაცვა.**

და, ბოლოს, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე უნდა იყოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი სრულიად საქართველო და, **როგორც დიდი ილია ბრძანებს, სწორედ „ეკონომიური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯნეთ და ვიამაგოთ".**

კაცი და ქვეყანა

ნუგზარ კობერიძე — დაიბადა 1950 წლის 22 მარტს, პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

70-იანი წლების ქართული დისიდენტური მოძრაობის აქტიური მონაწილე, უფრო კონკრეტულად — საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის მოღვაწეობის არალეგალურ პერიოდში მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას და ვიქტორ რცხილაძის უახლოესი თანამოსაქმე და თანამებრძოლი, დისიდენტურ ჟურნალ „ოქროს საწმისში" გამოქვეყნებული მრავალი ლექსის ავტორი. დღეისათვის „საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირის" თავმჯდომარე, პოლიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ლიგის" თავმჯდომარე.

—ბ-ნო ნუგზარ, რას იტყვით ქართული დისიდენტური მოძრაობის შესახებ?

— დისიდენტური მოძრაობა მთელი კავშირის მასშტაბით, ბალტიისპირეთში, რუსეთში, უკრაინაში, სომხეთსა და საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი მოძრაობა იყო. კბილებამდე შეიარაღებულ, სუკითა და მრავალი დამსჯელი ინსტიტუტით ზურგმაგარ სისტემას შიშველი ხელებით, მარტოოდენ რწმენით, პიროვნული ღირსებითა და უდრეკი სულით უპირისპირდებოდნენ თავგანწირული ადამიანები. ყოველმა მათგანმა იცოდა გადადგმული ნაბიჯის ფასი და სასჯელზეც ნაფიქრი ჰქონდა, გადასახლება, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სამუდამოდ გამოკეტვა, ოჯახის აწიოკება, საყვარელ საქმეზე უარის თქმა, ციმბირის ბანაკები, შიმშილი, სიცივე, უხამსი მოპყრობით დამცირება და ხშირად სიკვდილიც. აი, ის უსიხარულო პერსპექტივა, რაც საბჭოთა დისიდენტს ელოდა (მე მტკიცედ მჯერა, თუ არა გორბაჩოვის უბადალეიბული სპექტაკლი „პერესტროიკა", მერაბ კოსტავა ცოცხალი ვერასოდეს დაბრუნდებოდა საქართველოში!), ამიტომაც დისიდენტური მოძრაობის მთელი ძალმოსილება ამ მოძრაობის სულისჩამდგმელ პიროვნებათა უდრეკ, გაუტეხელ ნებასა და სინდისს ეფუძნებოდა. მთავარი იყო დისიდენტის სიმტკიცე და გაძლება სხვათა სამაგალითოდ, საკუთარი რწმენის ერთგულება, უღალატობა სიცოცხლის ფასადაც კი.

დისიდენტური მოძრაობა უიარაღო მოძრაობა იყო. იატაკქვეშეთში გამოცემული ჟურნალ-გაზეთები, პროკლამაციები, ზუსტი ინფორმაციის გავრცელება, საყოველთაო ვაკუუმის გარღვევა, სიმართლე, კალამი და ქაღალდი — აი ამ მოძრაობის მთელი შეიარაღება!

სწორედ ამიტომ იყო, რომ სუკი თავგამოდებით ცდილობდა სულიერად გაეტეხა დისიდენტი, ხერხემალში გადაემსხვრია მისი რწმენა, საზოგადოების თვალში დაემდაბლებინა იგი, რადაც უნდა დასჯდომოდა, მონანიებაზე დაეყოლიებინა! მონანიება დისიდენტის ზნეობრივი სიკვდილის ტოლფასი იყო, ვიმეორებ, ეს მოძრაობა მსხვერპლშეწირვას ჰგავდა, საზოგადოების გამოსაფხიზლებლად თავგამეტებულის სულიერ ძალისხმევას ეფუძნებოდა. ამიტომაც იყო, იმ წლებში მონანიება დიდ უზნეობად და მრავალთა თანამგრძნობთა და თანამონაწილეთა გაწირვად ითვლებოდა. ასე ითვლება დღესაც!

ეს საერთოდ, ხოლო რაც შეეხება ქართულ დისიდენტურ მოძრაობას, ის მართლაც არ ყოფილა ისეთი მძლავრი და საზოგადოებისაგან აშკარად მხარდაჭერილი, როგორც ბალტიისპირეთში, უკრაინასა და რუსეთში იყო. ჩვენც ვცდილობდით გავფრთხილებოდით მხარდამჭერებსა და ხელისშემწყობებს და სუკის ხახაში არ ჩაგვეყარა ისინი. ჩვენი საზოგადოების მაშინდელ მდგომარეობას ზედმიწევნით კარგად გამოხატავდა ერთი მეტად ტევადი სტრიქონი — „არის ოჯახები, მაგრამ ეს არ არის საქართველო" (გალაკტიონი).

საქართველოს ცკ-ს იმხანად ედუარდ შევარდნაძე ედგა სათავეში. იგი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის სათავეში მოსვლის პირველსავე კვირაში მწერალთა კავშირსა და ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას ეწვია!... ბევრს მკვახედ შეუძახა, ბევრს გაუღიმა და მიეფერა...

სრულიად ურთიერთგამომრიცხავი, ერთი შეხედვით გასაოცარი ამბები ხდებოდა საქართველოში!

ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით და მოთმინებაც ახალგაზრდულად აღარ გვყოფნიდა. ვიცოდით, რომ უზნეო საზოგადოების წევრები ვიყავით, სამშობლო გვქონდა და არც გვქონდა. ხალხმა იცოდა რუსიფიკაციის დამღუპველი შედეგების ამბავი. რესპუბლიკის მმართველი წრეები რუსულად ატარებდნენ კრებებს, ყრილობებს, მათი სამუშაო ენაც რუსული იყო, იყიდებოდა ქართული მიწა, დაიცალა სოფელი, ქართველი საკუთარ სამშობლოში სხვა ერის წარმომადგენელზე უარესად გრძნობდა თავს. აივსო ციხეები სამეურნეო და სხვა დანაშაულის გამო დაპატიმრებულებით! კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას მრავალი ფუნქციონერიც ემსხვერპლა, მაგრამ სისტემა, ურყევი საბჭოთა სტრუქტურები, ხელშეუხებელი დარჩა და კორუფციის ახალმა ტალღამ ძველს გადააჭარბა. მიზეზთან ბრძოლა იყო საჭირო უპირველესად და არა შედეგთან!

აი ასეთ დროს დავიწყეთ დისიდენტური საქმიანობა. ზ. გამსახურდია რედაქტორობდა „ოქროს საწმისსა" და „საქართველოს მოამბეს".

დიდი უსამართლობა იქნება იმ ადამიანების დავიწყება, ვინც თანამშრომლობდა ხსენებულ ჟურნალებში, ვინც ამ ჟურნალებს ბეჭდავდა და ავრცელებდა. არ არის მართალი თითქოს ზვიადი და მერაბი მარტონი იყვნენ დისიდენტური საქმიანობის პერიოდში, თითქოს მწერალთა კავშირიდან გარიცხვისას ზვიადს არავინ უთანაგრძნობდა ანდა სამსახურში, ლიტერატურის ინსტიტუტში არავინ დასდგომია გვერდით. მახსოვს, როცა ლიტერატურის ინსტიტუტში მას სამსახურიდან მოხსნა დაუპირეს და სასამართლო მოუწყვეს, მე გარეთ ველოდებოდი, გამოვიდა და გახარებულმა მითხრა, მთელმა კოლექტივმა მხარი დამიჭირაო.

ინფორმაცია გამოდიოდა სუკიდან, ციხიდან, პარტიის ცკ-დან, მილიციიდან. ადამიანები, რომლებსაც ეს ინფორმაცია გამოჰქონდათ, რა თქმა უნდა დიდ რისკს ეწეოდნენ. გენერალ ზარდალიშვილისა და ჩემი ერთ-ერთი „საუბარი" სუკში (ანუ დაკითხვის ოქმი) რუსეთში გამომავალ დისიდენტურ ჟურნალ „ხრონიკა ტეკუშჩიხ სობიტიის" 1975 წლის მე-5 ნომერში სიტყვა-სიტყვით დაიბეჭდა.

ვრცელი კონტაქტები გვქონდა რუსეთის დისიდენტურ წრეებთან, უცხოეთის პრესის წარმომადგენლებთან, საელჩოებთან. ვავრცელებდით ინფორმაციას საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევის, პატიმართა მდგომარეობის, ქართული ენისა და ისტორიის სწავლების სავალალო მდგომარეობის შესახებ და მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას მივაპყრობდით საქართველოს როგორც ძალით დაპყრობილ, ანექსირებულ ქვეყანას.

— ბატონო ნუგზარ, თუ შეიძლება უფრო დაწვრილებით გვიამბოთ თქვენი ჯგუფის მიმართ გატარებული რეპრესიების შესახებ და საერთოდ, როგორ განვითარდა მოვლენები?

— 1975 წელს გამოვიდა „ოქროს საწმისის" პირველი ნომერი, მაგრამ ვიდრე ბატონი კონსტანტინე ცოცხალი იყო, სუკი დიდად არ გვაწუხებდა. ჩვენი აქტიური დევნა დაიწყო ბატონ კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ. მერაბის ინიციატივით ჩემს ლექსებს ლეონ ქართველის, ამაღლობელისა და ჯაყელის ფსევდონიმებით ვბეჭდავდი, რადიო „თავისუფლებაც" ხშირად გადმოსცემდა ამ ლექსებს. „ოქროს საწმისის" ოთხი ნომრის გამოცემა მოხერხდა. პარალელურად გამოდიოდა ჟურნალი „საქართველოს მოამბე"-ც, რომლის ბოლო მე-4 ნომერი, ვიქტორ რცხილაძის რედაქტორობით გამოვიდა. ზვიადს ვურჩევდი როგორც რედაქტორს ხელი არ მოეწერა ჟურნალზე, რათა უფრო მეტის გამოცემა მოგვესწრო, მაგრამ მას მიაჩნდა, რომ ჩვენს საქმიანობაში არ იყო რაიმე კრიმინალი, რის გამოც შესაძლებელი ყოფილიყო ჩვენი დაპატიმრება. არ ვიცი რატომ იყო ასე თვითდაჯერებული.

— ბატონო ნუგზარ! თქვენზე ამბობენ, რომ 1977 წლის გაზაფხულზე მზად იყავით მის მაგივრად ჩამჯდარიყავით ციხეში.

— 1977 წლის გაზაფხულზე, აპრილში, სწორედ დაპატიმრების წინა დღეებში, ერთად ვახშმობდით ჩვენ ორნი. იმ პერიოდში სუკის დავალებით პრესა და ტელევიზია ისეთ საზოგადოებრივ აზრს ქმნიდა ჩვენზე, რომ ვგრძნობდი, საქმე ცუდად იყო. რეგულარულად მიბარებდნენ, უფრო ხშირად კი თავად მივყავდით სუკში დასაკითხად. უნდოდათ მეღიარებინა, რომ „ოქროს საწმისში" დაბეჭდილი ფსევდონიმებით ხელმოწერილი ლექსების ავტორი მე ვიყავი. ვიცოდი ამის აღიარებას მოყვებოდა ჩემი მეგობრების საქმიანობის გამჟღავნების მოთხოვნაც. სუკმა თავის საწადელს ვერ მიაღწია. იმ საღამოს შევთავაზე ბრალდებების იმ ნაწილის კისრად ღება, რომლის გამოც მოსალოდნელი იყო მისი დაპატიმრება. მიმაჩნდა, რომ მისი გარეთ ყოფნა საქმისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ჩემი. მაგრამ, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნე იგი მეტისმეტად დარწმუნებული იყო, რომ მისი დაპატიმრების მიზეზი არ არსებობდა. რამდენიმე დღის შემდეგ ზვიადი დააპატიმრეს, სულ მალე — მერაბიც. დავრჩით მე და ვიქტორ რცხილაძე და ჩვენი საქმიანობის შტაბბინამ ვიქტორის ბინაში გადაინაცვლა. რამდენიმე თვეში ვიქტორიც დააპატიმრეს. დავრჩი იმხანად მარტო. ჰელსინკის ჯგუფთან ახლოს მყოფ სხვა პიროვნებებს მე არ ვიცნობდი. მეტი გზა არ დამრჩენოდა გარდა იმისა, რომ დამოუკიდებლად მემოქმედა ჩემს უახლოეს მეგობრებთან ერთად. ვწერდი, ვბეჭდავდი და ვავრცელებდი სხვადასხვა ხასიათის პროკლამაციებს, რა თქმა უნდა ზვიადისა და მერაბის დასაცავად. — ხალხს მოვუწოდებდი, მხარი დაეჭირათ მათი გათავისუფლებისათვის. 1975 წლიდან 1979 წლის ჩათვლით დანიშნული მქონდა დევნა და ვიყავი სუკის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ.

4

სარედაქციო ფოსტიდან

ისევ საქართველოს დროშის გამო

ჟურნალ „პრომეთეს" 1918 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა კონსტანტინე გამსახურდიას — „პოლიტიკური მიმოხილვა", რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა ერის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლაში. პოლიტიკური თავისუფლების შესანარჩუნებლად, — აღნიშნავდა ბატონი კონსტანტინე, — არ კმარა დეკლარაციები და რეზოლუციები. უფლება ძალას უნდა დაემყაროს. „ჩვენი არსებობის გარანტია ჩვენივე ძალღონე უნდა გახდეს!" ქართული ჯარი — აი, გარანტია ეროვნული დამოუკიდებლობისა. ის და მხოლოდ ის „სისხლითა და რკინით დაიცავს საქართველოს ტერიტორიას და ქართველი ერის პოლიტიკურ უფლებებს". უძალოდ კი „უფლება უმწეოდ ისარია". ამასთანავე მარტო ამოწვდილი მახვილით ერი ბედნიერებას ვერ მოიპოვებს, ამიტომ „ერმა პოლიტიკური ბრძოლა პარალელურად უნდა აწარმოოს კულტურულ მუშაობასთან". მომავალი დემოკრატიული მშვიდობიანი საქართველოსთვის პოლიტიკური ბრძოლა, კულტურული მუშაობა — აი, ჩვენი არსებობის ფარხმალი. დღეს, როდესაც განსაკუთრებით დაიძაბა პოლიტიკური ვითარება საქართველოში, როდესაც რეალურ მტრებს იმედი მიეცათ საქართველოს დაძაბუნებისა და დაშლისა, საჭიროა ეროვნული თანხმობის დროშის ქვეშ გაერთიანება. ჩვენ გვინდა ისეთი ეროვნული დროშა, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქის, ეროვნული უმცირესობის ყველა წარმომადგენლის — აფხაზის, ოსის, ბერძენის, სომხისა თუ სხვა მფარველად გადაიქცეოდა. 1918 წლის 26 მაისის მადლით დადგენილი დროშა, როგორც არ უნდა გავახსივოსნოთ, რომანტიკული წარმოდგენებით მაინც პარტიული ბუნებისა იყო როგორც კომუნისტური ციფერხაზიანი და ლურჯმზიანი წითელი დროშა". კონსტანტინე გამსახურდია ამავე „პოლიტიკურ მიმოხილვაში" ასეთნაირად აღწერდა საქართველოს დროშას: „სამფეროვანია ჩვენი ეროვნული დროშა: შავი, თეთრი და წითელი. შავბნელი იყო ჩვენი წარსული. საუკუნეთა წყვდიადში სისხლის ჩირაღდნით გვივლია, ალისფერი სისხლია ყოველგვარი თავისუფლებისთვის აუცილებელი გარანტია და ზვარაკი. სითეთრე სისპეტაკის ემბლემაა".

იქნებ დადგა უკვე ის დრო, რომ ვიკმაროთ სისხლის ღვრა. მას ხომ დღევანდელ ვითარებაში არავითარი გამართლება არა აქვს. ჩვენ ყველანი ხომ საქართველოს მომავალზე ვფიქრობთ, იქნებ უპრიანია დავიბრუნოთ საქართველოს სამეფოს, საქართველოს ტრადიციული ეროვნული თეთრი ფერის წმინდა გიორგის გამოსახულებიანი დროშა, რომელიც კიდევ უფრო ავამაღლებდა მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალშიც. გარდა ამისა, მისი სიმბოლიკა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ტრადიციული სამფეროვანი დროშებისაგან განსხვავებით, მაღალმხატვრული და ადვილად დასამახსოვრებელი იქნება. რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მსოფლიოს ამცნეს ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგის გამოჩენა კავკასიის მთებში...

გავიხსენოთ ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებიც: „ნიშნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარმოწამის გიორგისანი ყოველსა ივერიისა შინა".

გურამ ლორთქიფანიძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული კულტურის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი.

უერთმანეთოდ ვერ ვივარგებთ

საქართველოში მოსახლე ყველა თაობის ადამიანებს, სამწუხაროდ, ისტორიული ბედის უკუღმართობის გამო, უმძიმეს პირობებში გვიხდება ცხოვრება. რაც გვჭირს სახეზეა — მოტყუებულნი, გათელილნი, შეურაცხყოფილნი ვხვდებით მომავალს. უფრო მეტიც, გაღმა — გამოღმა მდგომი ქართველობა შევრჩით ერთმანეთს. შეცბუნებული და შეშინებულია ჩვენში მცხოვრები სხვა ეროვნების ხალხიც. განა გვესწავლება როგორ უნდა ვექცეოდეთ ეროვნულ უმცირესობებს?

ამ ჩვენს უბედურებას ჩვენ მეზობელ ქვეყნებში დატრიალებული კოლიზიებიც ემატება. ამ ფონზეც კი არ გვინდა ჭკუა ვისწავლოთ — დავინდოთ ერთმანეთი. ვერ ვგრძნობთ, რომ დღითი დღე ვსუსტდებით ჩვენ, ჩვენი თავის უბედურები, და მტრის წისქვილზე ისე მივუშვებთ წყალს, წარბსაც არ ვიხრით.

იქნებ მივუტევოთ ერთმანეთს. ვგრძნობ ოპონენტების განწყობილებას ორივე მხრიდან, ისიც კარგად მესმის, რომ ძნელი დასავიწყებელია ის, რაც მოხდა, მაგრამ მეტი გზა რომ არა გვაქვს?! ჩვენს გვერდით ხომ მომავალი თაობა იზრდება, მათ ხომ სიკეთე და სიკეთის ფასი უნდა იცოდნენ. ნუთუ ვერ ვაჯობებთ ჩვენს თავს და ვერ გავუწვდით ხელს ერთმანეთს.

ყველა ქართველს, ყველა თქვენგანს, შეწუხებულს დღევანდელი დღით, მორიდებით მინდა შემოგთავაზოთ **„ეროვნული თანხმობის" დღის დაწესების იდეა,** რომელიც მხარეებს შერიგებისაკენ მოუხმობს. ეს იქნება სიკეთის და ერის გადარჩენის დღე, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ერთიანობის და სიმტკიცის შენარჩუნებას.

რევაზ კლდიაშვილი,
ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მისაბაძია!

ტყემლოვანში ეკლესია აშენდა

ჭიათურის რაიონის სოფელ ტყემლოვანში ოთხმოცდაათი წლის მანძილზე არ მოქმედებდა წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია. მოუვლელობამ და უყურადღებობამ ჩამოანგრია სამრეკლო და გუმბათები.

მეტალურგიის სამინისტროს დახმარებით ზესტაფონის გაერთიანება „იმერეთმა" ერთ წელიწადში აღადგინა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია.

ტყემლოვანში მოსული უამრავი ხალხის თანდასწრებით მარგვეთის საეპარქიოს დეკანოზმა მამა დავითმა მგალობელთა სიმღერის ფონზე აკურთხა ეს ეკლესია.

მშენებლების ხელმძღვანელმა გაერთიანება „იმერეთის" გენერალურმა დირექტორმა რუბენ ჩინჩალაძემ ეკლესიას საჩუქრად გადასცა „ახალი აღთქმა" და „სახარება".

ტყემლოვანში გვიან საღამომდე გაისმოდა ეკლესიის ზარების რეკვა. სოფელი ზეიმობდა და ხარობდა.

საკ. კორ.



უძრავი ქონების ბირჟა
უტა

სამშენებლო
ორგანიზაციების, ფირმების
და კოოპერატივების
საყურადღებოდ!

უძრავი ქონების ბირჟას „უტა"
შესაძლებლობა აქვს დაგეხმაროთ ცემენტის შეძენაში.
თუ გსურთ გადარიცხვით შეიძინოთ მარკა-400-ის შლაკოპორტლანდ ცემენტი,
მოგვმართეთ ბირჟას „უტა". შორს წასვლა არ მოგიწევთ - ცემენტი საქართველოს ტერიტორიაზეა.
ტრანსპორტირება შესაძლებელია როგორც რკინიგზით, ასევე ავტოტრანსპორტით.

ჩვენი მისამართია: იოანე პეტრიწის 27,
ტელეფონია: 98-92-79.

ბირჟა „უტა",
სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო".

UTA
EXCHANGE OF REAL ESTATE

რევაზ ჩხაიძე,
პროფესორი, სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი

საზრისი

განა სადავოა?

დღითი დღე ვშორდებით იმ ქარცეცხლიან დღეებს, როცა მთელი მსოფლიო ხალხების ერთობლივი ძალისხმევით ჩვენი პლანეტის ცივილიზაცია გადაურჩა ფაშისტური გერმანიის მიერ ნგრევასა და წალეკვას. ამ საკაცობრიო საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმაც. და რაოდენ დასანანია, რომ საქართველოს ყოფილმა მთავრობამ ვერ მისცა სათანადო შეფასება ამ საკაცობრიო მოვლენას და ერთი ხელის მოსმით გააუქმა ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაული მაშინ, როცა მთელი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მას განსაკუთრებულ ვითარებაში აღნიშნავენ და უაღრესად დიდ პატივს მიაგებენ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს.

უწინარეს ყოვლისა უნდა ვთქვათ, რომ მეორე მსოფლიო ომში მთელი პროგრესული კაცობრიობა ებრძოდა არა გერმანელ ხალხს, არამედ გერმანულ ფაშიზმს მსოფლიო ცივილიზაციის გადასარჩენად. ამ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ თვით გერმანელი ანტიფაშისტებიც და, რასაკვირველია, ჩვენი ხალხიც.

მაშ ეს ომი არ ყოფილა საკაცობრიო და ჩვენ არ ვიყავით მოვალე მიგვეღო მასში მონაწილეობა? განა საკამათოა, რომ ჰიტლერის ფაშისტური არმია, თუ იგი შემოაღწევდა საქართველოში, გულში არ ჩაგვიკრავდა? ვილაპარაკოთ ფაქტებით.

მოვუსმინოთ, რას მოგვითხრობს პროფ. გ. შარაძე 1989 წლის 29 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ფრანგული დღიურები“: „დ. სალირაშვილისეულ დოკუმენტებს შორის იყო აგრეთვე ფაშისტურ გერმანიაში 1942 წელს შემუშავებული საიდუმლო პროექტი „საქართველოს მთავარი რაიონები“ თავისი რუკით, საიდანაც ირკვევა, როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი გერმანელ ფაშისტებს საქართველოს დარაიონება მისი დაპყრობის შემდეგ და დ. სალირაშვილს ზედ გარეკანზე ჯერ კიდევ 1943 წლის 12 მარტს ქართულად წაუწერია წინასწარმეტყველური სიტყვები: „არა დროს არ მოხდება საქართველოს ასეთი დაპყრობა. ეს პოლიტიკა დაღუპავს თვით ჰიტლერის გერმანიას. ბერლინი, 12. 3. 43. დ. ს.“

ხედავთ, საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე კარგად ჰვრეტდა და იმედოვნებდა, რომ გერმანელ ფაშისტებს წინ აღუდგებოდა ჩვენი თაობის ქართველობა, რომ ჩვენში მამული დაცული ყოფილიყო ფაშისტთა მხრივ ხელყოფისაგან.

გავიხსენოთ მეორე მსოფლიო ომისა და ნიურნბერგის პროცესის მონაწილის მიხეილ კვესელავას წიგნიდან „ასერგასის დღე“ მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტი, რომლებიც გერმანელი ფაშისტების მიერ საქართველოს დაპყრობას შეეხება (იხ. წიგნი მეორე, ნაწილი პირველი, თბილისი, 1991 წ.).

„საშინელი საფრთხე ემუქრებოდა მაშინ ჩვენს ხალხს. ჰიტლერს საქართველო გერმანიის იმპერიის ფარგლებში ჰქონდა შეტანილი. ადმინისტრაციული დაყოფის თანახმად იგი შედიოდა რაიჰკომისარიატ „კავკასიაში“... იგი დაყოფილი იქნებოდა ექვს გენერალურ კომისარიატად. საქართველოს მაგივრად ერთ-ერთი კომისარიატი უნდა ყოფილიყო და ფილიალი ბათუმში ჰქონოდა. გენერალური კომისრის რეზიდენციად, ასევე როგორც კავკასიის რაიჰკომისრისა, გამოცხადდა თბილისი“ (გვ. 84).

„მოსახლეობას ისე ვეპყრობით, როგორც მეორე ხარისხის თეთრებს, რომელთა წინაშე თვით განგებამ დასვა ამოცანა — იქცნენ გერმანელთა მონებად“ (გვ. 109).

„ჰიტლერის აღრინდელ მითითებათა საფუძველზე როზენბერგი და შიკედანცი კავკასიაში გატარებულ ღონისძიებებს სამ ეტაპად ყოფდნენ:

... 3. ღონისძიებანი „საბოლოო მიზეზების“ განსახორციელებლად, რაც კავკასიაში გერმანელების სამუდამო ბატონობის დამყარების და მის ზოგიერთი ტერიტორიის, კერძოდ, საქართველოს „განაზლებას გულისხმობდა“. (გვ. 115).

„როზენბერგის მითითებით, სახელმწიფო ენა უნდა იყოს გერმანული... კავკასიაში გერმანული ენა უნდა იქნეს შემოღებული როგორც ყოველგვარი ურთიერთობის ენად“. (გვ. 118).

„კოხი განრისხებულია, რომ ზოგიერთ გენერალურ კომისარიატში გარდა ოთხწლიანი სკოლებისა, არსებობს კიდევ რამდენიმე უფრო მაღალი ტიპის სკოლა და ინსტიტუტი. — ამიტომ მოვითხოვთ ბატონი გენერალური კომისრებისაგან, — წერს იგი, — დახურონ ყველა სკოლა და ინსტიტუტი, რომლებშიც სწავლობენ მოსწავლეები 15 წლის ასაკს ზევით, ხოლო ამ დაწესებულებათა ყველა მოსწავლე და მასწავლებელი, განურჩევლად სქესისა იძულებითი წესით გაგზავნილი იქნენ სამუშაოდ გერმანიაში“. (გვ. 124).

„ჰიტლერი წერს: ჩვენ უნდა შევქმნათ გერმანელებისაგან ბატონთა კლასი. ამიტომ დაგვჭირდება დიდი რაოდენობა მომსახურე ადამიანებისა. ჩვენთვის სულ ერთია უწინ რას წარმოადგენდნენ ისინი: მსხვილ ბურჟუებს, დიდ მემამულეებს, მუშებს, პროფესორებს თუ ხელოვნების მუშაკებს. ჩვენ არ უნდა მოვერიდოთ ვუწოდოთ მათ მონათა კლასი. ... საქართველოში ასეთი „მონათა კლასის“ ხელმძღვანელად შიკედანცმა დანიშნა კიდეც SS-ის შტურმფიურერი ჰაიზელი. ... მოსახლეობისათვის არ იქნებოდა სახლკარი, ოჯახი, შვილები.

...ჰიმლერი სრულიად გარკვევით წერდა: — ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ, რომ ისინი ტოვებდნენ შთამომავლობას. ამიტომ ყოველგვარი ოჯახი ამ მონებისათვის პრინციპულად უნდა იქნეს აღკვეთილი. ჰიმლერი სიტყვა „მონის“ ნაცვლად „პირუტყვს“ ამბობდა. (გვ. 125).

განა მხოლოდ ეს ფაქტები არ მოწმობენ იმას, რომ გერმანელ ფაშისტებს საქართველოს დაპყრობა და ჩვენი გასახლება, დამონება სურდათ? და ჩვენს მრავალტანჯულ საქართველოში მათ მიერ დარაიონებულ რეგიონებში მბრძანებლად ისინი მოგვევლინებოდნენ, ჩვენი ლამაზი საქართველო კი გახდებოდა მათი ოჯახების სააგარაკო ადგილად, როგორც სხვა დაპყრობილ ქვეყნებში შვრებოდნენ, ხოლო მონებად და ლაქიებად ქართველი ხალხი უნდა გაეხადათ ან გაესახლებინათ. ჩვენ არ გვექნებოდა საკუთარი ენა, სახლკარი, ოჯახი, შვილები.

განა ყოველივე ამის შემდეგ მკრეხელობა არ არის ვამტკიცოთ, რომ ეს ომი ჩვენთვის არ ყოფილა სამამულო?!

–მაშ ვის უნდა ებრძოლა საქართველოს დაცვისათვის, თუ არა ჩვენი თაობის ქართველობას?

დღეს იმასაც ამბობენ, სად გაგონილა, სხვის მიწაზე მებრძოლ კაცს იმ მიწისთვის „მამული“ დაეძახოსო. სწორედ ჩვენ, „სხვის მიწაზე მებრძოლმა ქართველმა კაცებმა“, არ შემოვადგმევინეთ ფეხი მტერს ჩვენს მამულში. აბა, როგორ მოვქცეულიყავით, — ჯერ შემოგვეშვა მტერი ჩვენს მიწაზე, მიგვეცა უფლება აეოხრებინა იგი და აეწიოკებინა ისედაც ტანჯული ხალხი და მხოლოდ ამის შემდეგ აგვეღო ხელში იარაღი და გადავსულიყავით შეტევაზე?

ამას შეეწირა ქართველი ერის 300 ათასამდე რჩეული შვილი.

ნუთუ ერთხელ მაინც არ უნდა გავიაზროთ რა ფათერაკები და საშინელი ტანჯვა გადახდათ იმათ, ვინც გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე და იმათ, ვინც სასწაულად გადაურჩა ამ მძიმე და ხანგრძლივ ომს. რამდენჯერ სიკვდილისათვის თვალებში ჩაუხედავთ მათ და უკან მაინც არ დაუხევიათ, პირნათლად მოუხდიათ თავიანთი პატრიოტული ვალი სწორედ ჩვენი მამულის წინაშე.

ამის დავიწყება არ ეპატიება ქართველ ერს.

ამის ერთი მოკრძალებული დადასტურებაა ჩემი მცირე მოცულობის წიგნიც — „უკანასკნელი საბრძოლო გაფრენა“, რომელიც მეორე მსოფლიო ომში შორი მოქმედების ბომბდამშენი ავიაციის მონაწილეობას ეხება, სადაც ჩემს ანგარიშზეა 314 შორეული გაფრენა მტრის პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრების, სამხედრო ობიექტების დასაბომბად, რაც სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იყო შესრულებული.

განა სადავოა, რომ 9 მაისის გამარჯვება მთელი მსოფლიოს ხსნაა ფაშისტური ვანდალიზმისაგან, იგი ჩვენი მრავალტანჯული მამულის გადარჩენაცაა სამომავლო ბედნიერებისათვის, რომლისკენაც მიმართულია დღეს ჩვენი ძალისხმევა.

და ამის შემდეგ რაოდენ გულსატკენია, რომ ყველაფერი ეს დავიწყებას უნდა მიეცეს მაშინ, როცა ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყანაში, მათ შორის თვით გერმანელი ხალხიც, დღეს ზეიმით აღნიშნავს ფაშიზმის ურჩხულზე გამარჯვებას.

მთავრობის ასეთმა პოზიციამ იმის მაგივრად, რომ დღეს ორად გახლეჩილ საქართველოში ერთ მუშტად შეკრას ერი და ბერი, სამწუხაროდ, ძალაუნებურად განაპირობა ძველი და ახალი თაობის დაპირისპირება. ახლა პატივისცემის ნაცვლად შეურაცხყოფას აყენებენ ომის მონაწილეებს, მეტი რომ არაფერი ვთქვათ. ამან შეიძლება სავალალო შედეგამდეც მიგვიყვანოს.

ამდენად, ფაშიზმზე გამარჯვების დღე — 9 მაისი ჩვენი მთავრობისა და ხალხის მიერ სათანადო აღნიშვნის ღირსია, ასევე შესაბამისი პატივი უნდა მიეზღოს ომის მონაწილეებს.

ვფიქრობთ, ჩვენმა მთავრობამ ოფიციალურად უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია აღნიშნულ საკითხზე და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღსდგეს სამართლიანობა.

მწარე სინამძვილე. სიმონ კილაძის ფოტო.

ინტერვიუ

რა ბედი ელის ქართულ წიგნს?

ბოლო ხანს მომხდარმა პოლიტიკურმა და სოციალურმა მოვლენებმა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ყველა სფეროსთან ერთად წიგნის გამოცემაც მძიმე პირობებში ჩააყენა.

საზოგადოებრიობას მართებულად აღელვებს შექმნილი მდგომარეობა, აინტერესებს, რა ხდება გამომცემლობებში, რა ბედი ელის ქართულ წიგნს.

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ვთხოვეთ გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორს ედუარდ სიხარულიძეს, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის დირექტორის პირველ მოადგილედ.

— ვიდრე შეკითხვებზე გიპასუხებდეთ, მინდა ვთქვა, რომ ჩემი მოსაზრებები სრულიადაც არ მიმაჩნია ჭეშმარიტების საბოლოო ინსტანციად, ისინი რესპუბლიკის გამომცემლობათა ყოველდღიურ საქმიანობაში დიდი ხნის უშუალო მონაწილეობის შედეგად შემექმნა და მოხარული ვიქნები თუ საერთო საქმეს სარგებლობას მოუტანს.

კარგად მოგეხსენებათ, რომ სულ ახლო წარსულში, რესპუბლიკათა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგების დამოუკიდებლად არსებობის შეზღუდვისას, განსაკუთრებული ყურადღება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეთმობოდა. დღეს ეს ნათლად დადასტურდა ჩვენს მაგალითზე, როდესაც საგამომცემლო საქმისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებისა და სხვა მასალის აბსოლუტური მონოპოლიზაციის მოწმენი გავხდით. ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა ასეთი პოლიტიკა და, ალბათ, ჩვენი უყურადღებობაც. ამიტომ დაწყებული საბეჭდი ქაღალდიდან და დამთავრებული პოლიგრაფიული დანადგარებით (არაფერი რომ არა ვთქვათ წიგნისა და გაზეთის გამოსაცემად საჭირო ათობით სხვა კომპონენტზე) ყველაფერში მთლიანად სხვისი ხელის შემყურენი ვართ, რის გამოც ნაკარნახევ პირობებსა და ფასებს უნდა შევეგუოთ.

— რა გამოსავალს ხედავთ შექმნილი მდგომარეობიდან?

— ცხადია, ახლო მომავალში პოლიგრაფიულ მანქანებს ვერ დავამზადებთ და ვერც საბეჭდ ქაღალდს გამოვუშვებთ. ყველაფერი ისევ რუსეთში ან უცხოეთში უნდა შევიძინოთ. ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ძალისხმევის უკიდურესი დაძაბვითა და ჩვენს ხელთ არსებული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით უნდა მოვახერხოთ მდგომარეობიდან გამოსვლა. თუ შევძლებთ დემოკრატიული საზოგადოების ცხოვრების საერთო პრინციპებს მისადაგებული საგამომცემლო კონცეფციის შექმნას და თუ ზოგიერთი პრინციპული საკითხის მოგვარებაში ხელისუფლებაც დაგვიჭერს მხარს, ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ქართული წიგნი კვლავ ღირსეულ ადგილს დაიკავებს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

— როგორ გესახებათ თქვენი გამომცემლობის ხვალინდელი დღე?

— თუ ცივილიზებული საზოგადოების აშენებას ვისახავთ მიზნად, უპირველეს ყოვლისა, ინტელექტუალური თავისუფლებაა საჭირო, რა თქმა უნდა, საგამომცემლო საქმეშიც. ამიტომ შეუძლებლად მეჩვენება არა მარტო გამომცემლობა „ხელოვნების“, არამედ, საერთოდ, ჩვენთან არსებული საგამომცემლო ცხოვრების წესების, იერარქიის, ურთიერთობების, ფსიქოლოგიის ძველი სახით დატოვება. მის სრულ რეორგანიზაციასთან ერთად, ალბათ, კარდინალურად უნდა შეიცვალოს შემოქმედებითი ინტელიგენციის, მთლიანად საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება საგამომცემლო საქმისადმი.

რაც შეეხება „ხელოვნების“ პერსპექტივას, ჩვენთან შექმნილი მდგომარეობა ძალიან წააგავს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო გამომცემლობის საერთო გასაჭირს, თუმცა ამ მხრივ ის „უპირატესობა“ გვაქვს, რომ ჩვენი ძირითადი პროდუქციის — მხატვრული ალბომებისათვის საჭირო ცარცის ქაღალდის ფასმა, როგორც იტყვიან ყველა რეკორდი მოხსნა — ტონა სამოცდაათი ათასი მანეთი ღირს! ამის გამო არ გამოდის ქართულ და უცხოურ ენებზე დასასტამბად გამზადებული ისეთი უნიკალური წიგნები, როგორიც არის „ქართული ჭედური და ფერწერული ხატები“, „ქართული კულტურის ძეგლები“, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გურამ შარაძის წიგნები... მათი გამოცემით კი საშუალება მოგვეცემოდა ცივილიზებული სამყაროს წინაშე თვალნათლივ წარმოგვეჩინა ის ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც ქართველ ხალხს აქვს შეტანილი მოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში.

— გარდა შემოთქმულისა, რა გიშლით ხელს მუშაობაში?

— ვფიქრობ, რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტმა, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა საგამომცემლო საქმიანობის დემოკრატიზაციისა და გათანამედროვეობისათვის, სამთავრობო დონეზე უნდა დაამტკიცოს დებულება რესპუბლიკაში საგამომცემლო საქმიანობის შესახებ, მის საბოლოო ჩამოყალიბებაში სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა დაინტერესებული უწყებისა და ორგანიზაციის წარმომადგენელმა. ეს საშური საქმეა, რადგან დღემდე კვლავ მოქმედებს უკვე არარსებული სსრკ ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ბევრი ნორმატიული, ყოველმხრივ მოძველებული დოკუმენტი. ამასთან, უნდა შევძლოთ საგამომცემლო საქმეში ფესვგადგმული კონსერვატიზმის დაძლევა, რომელიც ძველი ჩვეულებების ინერციითა და აზროვნების დოგმატიზმით იკვებება.

ახალ საგამომცემლო დებულებაში, ბუნებრივია, უნდა აისახოს ცხოვრების მიერ ნაკარნახევი ყველა პროგრესული მოთხოვნა, თუმცა ქართული წიგნის გამოცემის ეროვნულ საქმეში წინასწარი პროგნოზირების გარეშე საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წესებისა და მეთოდების ცალმხრივი შემოღება, რამაც სახელმწიფო გამომცემლობათა არსებობა რეალური საფრთხის წინაშე დააყენა, გაუმართლებლად და ნაჩქარევად მიმაჩნია.

— კონკრეტულად რა გაქვთ მხედველობაში?

— როგორც ცნობილია, წიგნის გამოსაცემად საჭირო მასალებით ვაჭრობაში სწრაფად ჩამოყალიბდა და ამოქმედდა საბაზრო ურთიერთობანი, ჩვენ კი საკუთარი შემოსავლების ხარჯვის წესებში ადრე არსებული საფინანსო კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები და კაბალური გადასახადები დაგვიტოვეს. სახელმწიფო გამომცემლობები ბიუჯეტში რიცხავენ მოგების 35 პროცენტს, სოციანარიცხებისათვის — 26 პროცენტს, საპენსიო, სამხატვრო და სხვა თანხებს, რაც შემოსავლიდან თითქმის არაფერს გვიტოვებს. ამ დროს კი ტონა ქაღალდის ფასმა საშუალოდ 30 ათას მანეთს მიაღწია, მუყაოსამ — 32 ათასს გადაამეტა, პოლიგრაფიული ხარჯებიც ათმაგად გაიზარდა. ვინაიდან წიგნის გამოსაცემად საჭირო ფონდირებული მასალების ცენტრალიზებული წესით მოწოდება შეწყდა, ახლა გამომცემლობებმა ეს ყველაფერი საკუთარი სახსრებით უნდა შეიძინონ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სულ ახლახან ერთი ტონა ქაღალდის ფასი საშუალოდ 500 მანეთს არ აღემატებოდა, სურათი ნათელი გახდება.

საგამომცემლო საქმის პრობლემები

ქაღალდისა და სხვა მასალების ასეთი დეფიციტისა და სიძვირის პირობებში სახელმწიფო გამომცემლობების სამეურნეო ანგარიშითა და თვითდაფინანსების პრინციპით მუშაობამ შეიძლება მძიმე შედეგები გამოიღოს, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი უბრალოდ ვეღარ შეძლებს ძალზე მაღალფასიანი წიგნადი პროდუქციის შეძენას. სწორედ ამ მიზეზების გამო გაჭირდა და გაძნელდა წიგნის გამოცემა, ამიტომ დაემუქრა მას საფრთხე. კარგად გვესმის, რომ დღეს სახელმწიფოსაც ძალიან უჭირს, დახმარებისათვის ყველა მას არ უნდა მივადგეთ, მაგრამ იქნებ მოხერხდეს რესპუბლიკაში არსებული სულ რამდენიმე სახელმწიფო გამომცემლობის დაბეგვრის ტვირთის შემსუბუქება, რომლებიც თავის შესანახად წელიწადში რამდენიმე წიგნის გამოცემას თუ ახერხებენ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მსოფლიოს ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში, გამომცემლობები შემოსავლის 5-10 პროცენტს იხდიან. როდესაც საუბრის დასაწყისში სახელმწიფო გამომცემლობებისათვის ხელისუფლების მხარდაჭერის იმედი გამოვთქვი, პირველ რიგში ამ საკითხების მოგვარებასაც ვგულისხმობდი.

მეორე, არანაკლები საშიშროება წიგნის ბაზარზე შექმნილი ქაოსია, რაც იმის შედეგია, რომ უკანასკნელ ხანს სამთავრობო დონეზე შექმნილ მრავალ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ფირმას, ასოციაციასა თუ გაერთიანებას მიენიჭა საგამომცემლო სტატუსი, არაფერი რომ არა ვთქვათ გაურკვეველი დანიშნულებისა და რანგის კოოპერატივებზე.

— რით უნდა აიხსნას სხვადასხვა ორგანიზაციათა ასეთი დაინტერესება საგამომცემლო სტატუსის მოპოვებით?

— სულაც არა მგონია, რომ მათ ერის განმანათლებლის საპატიო და კეთილშობილი მისია ამოძრავებდეთ. საქმე ის არის, რომ სახელმწიფო გამომცემლობებისაგან განსხვავებით ამ ორგანიზაციებსა და კოოპერატივების უმრავლესობას მნიშვნელოვანი უპირატესობანი და პრივილეგიები აქვთ. ისინი ბევრად უფრო ადვილად იძენენ ქაღალდსა და სხვა პოლიგრაფიულ მასალას, რის გამოც სწრაფად შეძლეს წიგნის ბაზრის უზურპირება. შედეგიც მზად არის... თუ გადავხედავთ მათ მიერ დასტამბულ ძვირადღირებულ და უზარმაზარი ტირაჟებით გამოცემულ წიგნად პროდუქციას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ზოგიერთი გამონაკლისის გარდა ეს არის კულინარიული, სათავგადასავლო და ფანტასტიკური ჟანრის, აგრეთვე საეჭვო მხატვრული ღირებულების სწრაფად სარეალიზაციო ლიტერატურა. არ უარვყოფ, რომ, ალბათ, ასეთი წიგნებიც საჭიროა, რადგან მათზე მოთხოვნილება არსებობს, მაგრამ თუ სახელმწიფო გამომცემლობებს წიგნის გამოცემის საშუალებებს შევუზღუდავთ, კოოპერატივებთან და კერძო გამომცემლობებთან შედარებით აშკარად არათანაბარ მდგომარეობაში ჩავაყენებთ, მაშინ რა ვუპასუხოთ მკითხველი საზოგადოებრიობის იმ უდიდეს ნაწილს, რომელსაც მსოფლიო და ეროვნული ლიტერატურის კლასიკა, ჩვენი თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები უფრო აინტერესებთ? არ გამოვცეთ საბავშვო წიგნები, ენციკლოპედიური, საცნობარო ლიტერატურა, ლექსიკონები, ქართული კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების უნიკალური ძეგლები? გვაქვს კი მორალური უფლება საგამომცემლო საქმეში მერკანტილიზმის დანერგვით დავაკნინოთ და დავაქვეითოთ მკითხველის გემოვნება?

— ის რაც დღეს ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ალბათ, იმის შედეგიც არის, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი აღარ კითხულობს სერიოზულ ლიტერატურას...

— გეთანხმებით. ჩემი ღრმა რწმენით, სიტყვის თავისუფლების, დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საბაბით საგამომცემლო საქმის ასე უეცრად და ფართო მასშტაბებით პრივატიზებისათვის არც მორალურად და არც ფსიქოლოგიურად ჯერ მზად არა ვართ. ჩვენს ხალხს, რომელსაც საკუთარი დამწერლობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჰქონდა, ამ თვალსაზრისით საკუთარი გზა აქვს გავლილი და მომავალში გასავლელიც. ისტორიულად წიგნი ქართველი კაცის სულიერი წყობის, ფსიქიკისა და პოეტური ბუნების განუყოფელ ნაწილად ჩამოყალიბდა. ალბათ ამანაც განაპირობა მსოფლიოში უნიკალური ფენომენი — „ვეფხისტყაოსანს“ მზითევში რომ ატანდნენ... ამიტომ ვფიქრობ, რომ საგამომცემლო საქმის პრივატიზებას, რომელიც მომავალში შეიძლება გარდაუვალი იყოს, ამ ეტაპზე განსაკუთრებული სიფრთხილითა და დაკვირვებით უნდა მოვეკიდოთ, სათანადო კანონმდებლობით განვახორციელოთ კოორდინირება, დავადგინოთ ვის და რისი გამოცემის უფლება აქვს. იქვე არ მეპარება, რომ საზოგადოებრივი აზრი უყოყმანოდ დადგება ქართული კულტურის, მწერლობის, ჭეშმარიტი ქართული წიგნის მხარეზე.

— წიგნის მაღალი ფასები ახსენეთ..

— გულახდილად რომ ვთქვა, წლების მანძილზე ყველანი შეგვაჩვიეს იაფფასიან წიგნს, რომლის ღირებულება სულ ახლახან, საშუალოდ ორ მანეთს არ აღემატებოდა. ჩემი, როგორც რიგითი მკითხველის აზრი თუ გაინტერესებთ, მისი ასეთი დაბალი ფასი არ იყო განპირობებული, ძველი ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, მხოლოდ მშრომელთა მასებში ცოდნის შეტანის სურვილით. იგი არსებული იდეოლოგიის ფართოდ გავრცელებასაც უწყობდა ხელს. ამან ბევრად განაპირობა ჩვენში უკვე კარგა ხანია ფართო მასშტაბით დაწყებული წიგნის დევალვაციის პროცესი, როდესაც პრაქტიკულად გამოუყენებელი, უზარმაზარი საოჯახო ბიბლიოთეკების შექმნა პროვინციალურ-პრესტიჟულ საქმედ იქცა, ტომების რაოდენობამ კი ასტრონომიულ ციფრს — 40 მილიარდს მიაღწია და ბევრად გადააჭარბა საზოგადოებრივ ფონდს... ყოველივე ამის გამო წიგნმა ბევრის თვალში დაკარგა თავისი ძირითადი ფუნქცია, გადაინაცვლა მატერიალურ ფასეულობათა რანგში, იქცა დეკორატიულ ელემენტად.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას წიგნის რეალიზაციაში დაგროვილ პრობლემებზეც. ფინანსური სიძნელეების გამო წიგნით ვაჭრობის საბითუმო-საცალო გაერთიანება „საქწიგნი“ იძულებულია წიგნადი პროდუქცია ოცდახუთი პროცენტის სავაჭრო დათმობით მიიღოს, რაც სახელმწიფო გამომცემლობათა ისედაც მძიმე ფინანსურ მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს. ალტერნატიული სავაჭრო ქსელის უქონლობა უბიძგებს მათ ეძებონ გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. დარწმუნებული ვარ, რომ ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი გამონახავს ამ საკითხის გადაწყვეტის ოპტიმალურ ფორმებს.

— და ბოლოს, როგორ წარმოგიდგენიათ დღეისთვის ქართული წიგნის დანიშნულება?

— ჩვენს წინაშე პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების უძნელესი ამოცანა დგას. ამ ბრძოლის თეატრში ქართულმა წიგნმა უნდა იკისროს საპატიო და კეთილშობილური მისია — გამოაფხიზლოს და გამოიყვანოს ხალხი შექმნილი მძიმე ფსიქოლოგიური კრიზისიდან, ეროვნული კლასიკისა და თანამედროვე ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენასთან ერთად აზიაროს იგი ცივილიზებული სამყაროს ყველა უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების ნებისმიერ დარგში. ქართული წიგნი რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაუბრუნდეს ერის განმანათლებლისა და სულიერი მოძღვარის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციებს. ასევე სწრაფად უნდა შევძლოთ საკუთარი შემოქმედებისა და ნაღვაწის რეალური შეფასებისა და ღირსების გრძნობის აყვანა აუცილებელ მოთხოვნათა კატეგორიამდე.

სტრუქტურულად, შინაარსითა და დანიშნულებით ჭეშმარიტად ეროვნული საგამომცემლო საქმე დღევანდელობის მოთხოვნებსა და სტანდარტებს უნდა დაუახლოვოთ, საკუთარ ეროვნულ ნაჭუჭში ჩაკეტვა მავნე და საშიში ტენდენციაა, მით უფრო დღეს, როდესაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა და დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარება მეცნიერულ-კულტურული კონტაქტების განვითარების შესანიშნავ პერსპექტივებს გვისახავს.

ყოველივე ამან ქართული წიგნის მერიდიანზეც უნდა გაიაროს.

ესაუბრა
ნანული ბარათაშვილი.

წერილი რედაქციას

მუზეუმთმცოდნეობაც საჭირო დარგია!

ჩვენი გაზეთის 24 მარტის ნომერში გამოქვეყნდა თბილისის კულტურის აკადემიის რექტორატის განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ: აკადემია „აცხადებს მიღებას 1992-93 სასწავლო წლებისათვის ქართული ქორეოგრაფიის, მუსიკისა და სათეატრო ხელოვნების ფაკულტეტებზე... მიღება იქნება დასწრებული განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: ქართული ხალხური ცეკვის მსახიობ-მოცეკვავე, დამდგმელი ქორეოგრაფი... ქართული ხალხური გუნდის ლოტბარი, საეკლესიო გუნდის მგალობელ-რეგენტი... თეატრისა და სანახაობითი წარმოდგენების დამდგმელი რეჟისორი, თეატრისა და კინოს მსახიობი, ტელევიზიის დიქტორი“...

ჩვენ რა დაგვრჩენია? — გულითადად მივულოცოთ ხსენებულ აკადემიას დაარსება და ვუსურვოთ მის კოლექტივს წარმატება მუშაობაში.

მაგრამ განცხადების გაცნობამ ცოტა გულნაკლული დაგვტოვა, რადგან ეს სასწავლებელი კულტურის აკადემიაა, იგი უნდა მოიცავდეს კულტურის ყველა მნიშვნელოვანი სფეროს სწავლებას. ქართველ ერს უძველესი და უმდიდრესი ისტორია აქვს. სიმღერისა და ცეკვის, კინო და სათეატრო ხელოვნების გარდა ჩვენი ხალხის ნიჭიერებამ შექმნა აგრეთვე ისეთი და იმდენი განძი, რაიც, უმრავ მუზეუმშია თავმოყრილი, აოცებს მსოფლიოს. და თუ დღეს ყველასათვის ცხადია, რომ სიმღერა და ცეკვა კვალიფიციური შემსრულებლის გარეშე წარმოუდგენელია, რომ პიესისა თუ სცენარის წარმატება დამდგმელი შემოქმედებითი კოლექტივის ხელოვნებაზეა დამოკიდებული, რატომ ვხდით სადავოდ იმას, რომ ჩვენი სამუზეუმო განძის მოვლა-პატრონობა და დამთვალიერებლის წინაშე მისი წარდგენა ასევე შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების საქმეა? სადავო რომ ყოფილა, ხსენებული განცხადების გაცნობამაც დაგვარწმუნა: კულტურის აკადემიის ფაკულტეტებს შორის ადგილი ვერ პოვა მუზეუმთმცოდნეობამ. არადა, ჩვენი აზრით, ეს საშური საქმეა. თქმა არ უნდა, საქართველოს მუზეუმებში მრავლადაა თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მაგრამ ისინი, უმთავრესად, ძველი თაობის წარმომადგენლებია. არც იმას უნდა მტკიცება, რომ ამ მუზეუმებში შემთხვევითი პირიც საკმაოდაა. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ სამუზეუმო საქმის სპეციალისტთა მომზადება სწორედ კულტურის აკადემიამ უნდა ითავოს. ეს მრავალმხრივ იქნება გამართლებული. კულტურის სამინისტრო თავის სისტემაში შემავალ მუზეუმებს ყოველწლიურად უყოფს ხარჯებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე თანამშრომელთა გასაგზავნად. ამ სოლიდურ თანხას თუ შევაწევთ კულტურის აკადემიაში მუზეუმთმცოდნეობის ფაკულტეტის შექმნის ცდას, უფრო მიზანშეწონილი იქნება. ამის გარდა, დღეს საქართველო, მოგეხსენებათ, დამოუკიდებელია, უცხოელი სტუმარი და ჩვენი კულტურით დაინტერესებული ადამიანი მოგვიმრავლდება, მარტო ის არის ანგარიშგასაწევი, რომ უახლოეს მომავალში ათობით საელჩო დაფუძნდება ჩვენს დედაქალაქში და ჩვენი მუზეუმების დამთვალიერებლებს მრავალი დესპანი და მათი ოჯახის წევრებიც შეემატებიან. საუკუნეთა მანძილზე შექმნილ განძს და საგანძურს ღირსეული „რეკლამა“ სჭირდება, რეკლამას — სპეციალისტი, სპეციალისტს კი — მწვრთნელი.

სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ კულტურის აკადემიის განცხადება მისასალმებელია, მაგრამ კიდევ „რაღაც“ აკლია.

ზაურ ბაბუნაშვილი — თბილისის უნივერსიტეტის ქართული კულტურის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი,

ოთარ ყიინაშვილი — შრომის, სოციალური დაცვის და დემოგრაფიის მინისტრის მოადგილე.

ტრისტან ჩიჩილაკაშვილი — თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ისტორიული განყოფილების უფროსი.

თემურ ფირცხალაიშვილი — კულტურის სამინისტროს სამუზეუმო განყოფილების უფროსი.

მერაბ აბდუშელიშვილი — თბილისის ისტორიის მუზეუმის დირექტორი.

რაფიელ მაშულიშვილი — მწერალი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

განადგურებისკენ მოუწოდა

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელმა აიათოლა ალი ხამენეიმ „ჰეზბოლაჰის“ ლიდერთან შეიხ ჰასან ნასრულთან შეხვედრის დროს ლიბანის მებრძოლებს მოუწოდა გააგრძელონ საღვთო ომი, „ჯიჰადი“ ისრაელის წინააღმდეგ. „რაც უფრო ჩქარა მოვუთავებთ ხელს ისეთ მავნე წარმონაქმნს, როგორიც ისრაელია, მით უკეთესი იქნება მთელი მსოფლიოსთვის“, — დასძინა ირანის ხელმძღვანელმა.

ყირიმელთა გადაწყვეტილება

რადიოსადგურ „თავისუფლების“ ცნობით, ყირიმის პარლამენტის სესიამ ყირიმის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ტერიტორიულად იგი ყირიმის ნახევარკუნძულს მოიცავს, რომლის მოსახლეობის დაახლოებით 70 პროცენტი რუსია. სიმფეროპოლმა კიევს უკვე მიმართა ახალი ურთიერთობების დასამყარებლად. უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა, რომელიც ამჟამად ვაშინგტონშია, განაცხადა, ყირიმს, რომელიც ამჟამად უკრაინის შემადგენლობაშია, გამოყოფის არავითარი უფლება არა აქვსო.

მანევრები დასრულდა

ირანში დამთავრდა ერაყთან ომის დამთავრების დროიდან უდიდესი სამხედრო მანევრები, რომლებმაც 11 დღე გასტანა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ორმუზის სრუტის რაიონში. მათ მასშტაბურობას, იუწყება ირანის საინფორმაციო სააგენტო, მოწმობს ის ფაქტი, რომ სამხედრო თამაში გაიშალა დაახლოებით 20 ათას კვადრატულ კილომეტრ ფართობზე. მანევრებში მონაწილეობდნენ „შეიარაღებული ძალების ათასობით სამხედრო მოსამსახურე და ირანის „ისლამური რევოლუციის გუშაგთა“ კორპუსის წარმომადგენლები, საბრძოლო თვითმფრინავები და ვერტმფრენები, 45 საესკადრო ნაღმოსანი, სხვა წყალზედა ხომალდები და კატარღები, აგრეთვე წყალქვეშა ნავები“.

ტაჯიკეთის ამბები

იტარ-ტასის სააგენტოს ცნობით, ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში პრეზიდენტმა რახმონ ნაბიევმა საგანგებო წესები გამოაცხადა. მთავრობისა და ოპოზიციის დაპირისპირება შეიარაღებულ შეტაკებებში გადაიზარდა. რადიო „თავისუფლების“ ცნობით უკვე დაღუპულია 10 კაცი. პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით მოკლე დროში ოპოზიცია, რომელმაც უკვე დაიკავა ტელევიზია, ოცი ათასიანი შეიარაღებული ძალების შექმნას აპირებს. რადიო მთავრობას ექვემდებარება. ოპოზიციური დემოკრატიული პარტიის პრესსამსახურის ცნობით, ნაბიევის გვარდიას თანამეგობრობის შეიარაღებული ძალებიდან იარაღს აძლევენ. ოპოზიცია ისლამური დროშის ქვეშ არის დარაზმული. ისინი პრეზიდენტ რახმონ ნაბიევის უპირობო გადაყენებას და სახელმწიფო საბჭოს შექმნას მოითხოვენ, რომელშიც ყველა პოლიტიკური პარტია იქნება წარმოდგენილი. პრეზიდენტი თანახმაა, რომ შეიქმნას საპრეზიდენტო საბჭო. რადიოსადგურ „გერმანიის ტალღის“ აზრით, ოპოზიციაზე გარკვეულ გავლენას ახდენს მეზობელ ავღანეთში ტაჯიკური წარმოშობის ყოფილი „საველე მეთაურის“, ამჟამად კი ავღანეთის თავდაცვის მინისტრის აჰმად შაჰ მასუდის წარმატებები.

მდგომარეობა ავღანეთში

ფუნდამენტალისტ გულბუდინ ჰეკმათიარის სამხედრო ნაწილებმა კვლავ დაბომბეს ქაბული. დაზიანებულია ტელეცენტრის უბანი. მოსახლეობის ნაწილი ქალაქიდან გარბის. დაბომბვის დროს დაიღუპა 40 და დაიჭრა 200 კაცი. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მონაცემებით, ჰეკმათიარი კატეგორიულად მოითხოვს, რომ უზბეკურმა დივიზიამ გენერალ რაშიდ დოსტუმის ხელმძღვანელობით ქაბული დატოვოს. იუწყებიან, რომ დოსტუმის სამხედრო ნაწილებმა მოსახლეობის ძარცვა დაიწყეს. ადრე დოსტუმი პრეზიდენტ ნაჯიბულას გენერალი იყო და ტაჯიკური წარმოშობის „საველე მეთაურთან“ აჰმად შაჰ მასუდთან გაერთიანდა. ჰეკმათიარი ასევე მოითხოვს, რომ ქაბულის ფაქტობრივი მფლობელი აჰმად შაჰ მასუდი ქვეყნის ჩრდილოეთში წავიდეს. ფრანგული გაზეთი „ფიგარო“ წერდა, რომ შექმნილ ვითარებაში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ პოზიციას დაიკავებს მოჯაჰედთა კიდევ ერთი „საველე მეთაური“ აბდულ ხაკი, რომელიც ქალაქ გარდეზს აკონტროლებს.

შეხვედრა თეირანში

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი მამედოვი და სომხეთის პრეზიდენტი პეტროსიანი თეირანში შეხვდნენ ერთმანეთს. ირანის შუამავლობით ისინი ყარაბაღის კრიზისის მოგვარებას შეეცდებიან. პეტროსიანი, რომელიც თეირანში სამ დღეს დარჩება მონაწილეობას მიიღებს ირანში სომხეთის საელჩოს გახსნის ცერემონიალში. ადრე ირანის საელჩო გაიხსნა ერევანში. „რუსეთის რადიოს“ ცნობით მოსკოვი თავის წარმომადგენელს გაგზავნის თეირანის მოლაპარაკებაზე. ამავე დროს იუწყებიან, რომ ბაქოში გაიმართა აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის აიაზ მუტალიბოვის მხარდამჭერი მიტინგი.

მედიკოსთა გაფიცვა მოსკოვში

იტარ-ტასის სააგენტო იუწყება, რომ მოსკოველმა მედიკოსებმა გადაწყვიტეს გააგრძელონ 27 აპრილს დაწყებული გაფიცვა. ამჟამად მათ შეწყვიტეს პოლიკლინიკებში პაციენტებისა და სტაციონარებში ავადმყოფების მიღება. ექიმები პროტესტს აცხადებენ შრომის მძიმე პირობებისა და, აგრეთვე ქალაქის მცხოვრებთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ხელისუფლების მხრიდან სრული უყურადღებობის გამო.

კაცი და ქვეყანა

(დასასრული)

მიჭერდნენ, მიწყობდნენ დაკითხვებს, მემუქრებოდნენ ფიზიკური მოსპობით, ოჯახის წევრებისა და ქალიშვილის მიმართ რეპრესიებით. არ იბეჭდებოდა ჩემი ლექსები. დრამატურგების კონკურსზე მონიჭებული პრემია „სუკის" მითითებით არ მომცეს.

ზვიად გამსახურდიას გასამართლებამდე ერთი წლით ადრე „სუკში" მეუბნებოდნენ, თავს რატომ გვაჭერინებ, მალე შენი თვალით ნახავ ზვიადი როგორ გამოვა ტელევიზიით, მოინანიებს და თვითონვე მოიჭრის თავსო, მე მათი არ მჯეროდა. მის გასამართლებამდე რამდენიმე დღით ადრე მომიგზავნეს ხალხი და გამაფრთხილეს ზვიადის დასაცავად სასამართლოსთან ხალხი არ მიიყვანო თორემ დაგიჭერთო. მაგის პირობას ვერ მოგცემთ-მეთქი, ვუპასუხე. მოულოდნელად სამსახურიდან (სპეციალურად) ათდღიანი მივლინებით ქუთაისის ოპერის თეატრის შესამოწმებლად გამგზავნეს, მაშინ თეატრალურ საზოგადოებაში ვმუშაობდი. ეს იყო ჩემი იქ მუშაობის მანძილზე ერთადერთი მივლინება! ქუთაისშიც „სუკის" მუდმივი ზედამხედველობის არეში ვიყავი. მოგვიანებით კი იქ შევიტყვე, რომ ზვიადის გასამართლება დაეწყოთ.

როცა საკავშირო ტელევიზიით მონანიებით გამოსული ზვიადი ვნახე, ავად გავხდი, დიდხანს ვიყავი დათრგუნული და განადგურებული. მისი მეუღლე მანანა არჩვაძე სასამართლოზეც და მერეც ხშირად ამბობდა, რომ ეს ჩემი ქმარი არ არისო. მეც ვიფიქრე, რომ ზვიადის გამოსვლა და მონანიება მზაკვრული მონტაჟი, ანდა სიკვდილის შიშით ჩადენილი სისუსტე იყო. ზვიადის საკავშირო ტელევიზიით გამოსვლამ და მის მიერვე სასამართლოზე ამერიკელი ჟურნალისტების დაბეზღებამ, რომლებსაც ინფორმაცია გაჰქონდათ საქართველოდან და, ამ დაბეზღების შედეგად ჟურნალისტების გაძევებამ საბჭოთა კავშირიდან, ჩვენს თანამდგომ ხალხს ისე გაუტეხა გული, რომ ზვიადის სახელით არაფრის გაკეთება აღარ შეიძლებოდა. როცა იგი გადასახლებიდან დაბრუნდა, ქუჩაში არავინ ესალმებოდა, ეკლესიაშიც კი მარტო იდგა, ერთხელ სილაც გააწნეს, ძალიან მეცოდებოდა. ვიფიქრე, იქნებ სულაც ეროვნულ გმირობაზე თქვა უარი, გარეთ ყოფნა და საქმის გაგრძელება ამჯობინა-მეთქი. ძველი მეგობრისა და თანამებრძოლისადმი შემწყნარებლობისა და პატიების გრძნობამაც იმძლავრა და უყოყმანოდ მის გვერდით დავდექი. ისიც აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ზვიადმა მაჩვენა წერილი, ვითომ მერაბი გადასახლებიდან იტყობინებოდა ზვიადთან თბილისში, სუკის ციხეში წინასწარი მოლაპარაკების შესახებ. ამ მოლაპარაკების თანახმად მერაბი უნდა დარჩენილიყო ციხეში, ხოლო ზვიადს ყველა ღონე უნდა ეხმარა გარეთ გამოსასვლელად და საქმის გასაგრძელებლად. ზვიადი მიმტკიცებდა, რომ ამ წერილს შენს მეტი ვერავინ ნახავსო: ამ წერილმა დიდი ეჭვები აღუძრა ჩემს უახლოეს ადამიანებსაც: როგორც შემდგომ გამოირკვა, ზვიადი ყველა თავის ნაცნობს ამ წერილს უჩვენებდა, თავის მონანიებას ამ მოლაპარაკებით ხსნიდა. როცა მერაბი ჩამოვიდა, მითხრა, ასეთი წერილი არ დამიწერია, გადასახლებიდან კი შემოგითვალეთ, ზვიადმა მეტი ვერ შეიძლო და უნდა ვაპატიოთ, როცა ჩამოვალ ყველას შეგარიგებთო. ქ-ნ რუსუდან ბერიძის სატელევიზიო გამოსვლაც იმას ადასტურებს რომ, მერაბს არავითარი წინასწარი მოლაპარაკება არ ჰქონია ზვიადთან.

ასე იყო თუ ისე, რამდენიმე თვის მანძილზე ზვიადს მხარში ვედექი, ვამხნევებდი. ვაპირებდით ახალი ჟურნალის გამოცემას, მაგრამ გადიოდა დრო და მისგან ამ საქმისადმი ინტერესს ველარ ვხედავდი. ამას დაერთო ისიც, რომ აუტანელი გახდა ზვიადის უნდობლობა და ეჭვიანობა გარშემო მყოფი და თვით ჩემი უახლოესი ადამიანების, ოჯახის წევრების მიმართაც. მართალია, პირადად ჩემდამი ეჭვი არასოდეს გამოუთქვამს, მაგრამ უკვე შეუძლებლად ჩავთვალე მასთან შემდგომი ურთიერთობა.

— ბ-ნო ნუგზარ! ამით თითქოს თქვენი ცხოვრების ერთი ეტაპი დასრულდა. ამის შემდგომ რას ფიქრობდით და რას აკეთებდით?

მე და ჩემს მეგობრებს ყოველთვის მიგვაჩნდა, რომ საქართველოში იყო ისეთი პრობლემები, რომელთა თავის დროზე გადაუჭრელობა მომავალში სისხლის ფასად დაჯდებოდა. ამის გარდა მწამდა, რომ საქმის კეთება ყოველთვის შეიძლებოდა და რაც უფრო ძნელი იყო მისი კეთება, მით უფრო ღირებულად მიგვაჩნდა ჩვენი საქმიანობა.

ბედნიერ კაცად ვთვლი თავს, რომ სხვებთან ერთად ვმონაწილეობდი საინგილოს თეატრის შექმნაში, საინგილოსათვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ლიმიტების გამოყოფის საქმეში, სოფლების: წერაქვის, სიონისა და ტანძიის აღდგენაში და სხვა. ყოველივე ეს ვერ გაკეთდებოდა საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებასთან ურთიერთობის გარეშე. ჩვენ ვცდილობდით და, საბედნიეროდ, ვახერხებდით კიდეც კომპრომისებზე წაუსვლელად კომუნისტებთან ჩვენი ნება-სურვილების მიტანასა და მათგან სათანადო მხარდაჭერის მოპოვებასაც. ჩვენ ქართული საქმეების საკეთებლად ხშირად ვაწუხებდით ცკ-ს მდივნებსა და სხვათა და სხვათა მიუხედავად იმისა, რომ ძალზე კრიტიკულად და ნეგატიურად ვიყავით განწყობილი საქართველოში კომუნისტური მმართველობის სიმახინჯეების მიმართ.

საინგილოში, სადაც დღესაც კი არ არის აზერბაიჯანული თეატრი, იმ დროს ქართულ სახალხო თეატრზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. საინგილოსთვის ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ლიმიტების გამოყოფამ, მაშინ საინგილოს ქართული სკოლები დახურვას გადაარჩინა. სოფლების, —წერაქვისა და სიონის, ტანძიის აღორძინებამ, მარნეულისა და ბოლნისის არაქართულ მოსახლეობას გაახსენა, რომ ამ რეგიონებს პატრონი ცოცხალი „ყავს" ზემოთ ჩამოთვლილი და კიდევ სხვა მრავალ საქმეთა წარმატებით განხორციელებას დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს მაშინდელი საქართველოს ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე. საქმეთა მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს ყველაფერი კეთდებოდა დიდი ხმაურისა და ზარზეიმის გარეშე. ამ საქმეებში ბატონი ედუარდის უჩინარი და საგრძნობი მხარდაჭერა მუდამ იგრძნობოდა. ამის ართქმა ჩემგან უპატიოსნო საქციელი იქნებოდა.

1985-1987 წლებში, როგორც ცნობილია, პოლიტიკური ატმოსფერო შეიცვალა. გათავისუფლდნენ პოლიტიკური პატიმრები. მერაბიც ჩამოვიდა გადასახლებიდან. რაზეც ადრე არამცთუ ლაპარაკი, ფიქრიც კი აკრძალული იყო, ახლა ის პრობლემები საჯაროდ, საზოგადოებრიობის მსჯელობის საგნად იქცა.

გადასახლებიდან დაბრუნებულ მერაბს პირველი შეხვედრისთანავე დაუფარავად ვუთხარი — შენ ზნეობრივი მაგალითი მიეცი ქვეყანას, ზვიადმა შეგვარცხვინა მსოფლიოს წინაშე და თქვენი ერთად ყოფნა ეროვნულ მოძრაობაში სიკეთეს არ მოიტანს-მეთქი. თუ გავითვალისწინებდი მერაბის თავმდაბლობას და ზვიადისადმი ყოვლისმიმტევებლურ დამოკიდებულებას, შიშის მიზეზი მქონდა, მიმაჩნდა, რომ იმ ეჭვიანობისა და უნდობლობის ატმოსფეროში, რომელსაც ზვიადი ყოველთვის ქმნიდა თავის გარშემო, რაიმე ღირებულის გაკეთება შეუძლებელი იყო. მერაბმა თავს იდო ზვიადის, ასე ვთქვათ მოთოკვა, ვაი, რომ შემზარავად განვითარდა მოვლენები და სამწუხაროდ ჩემი პროგნოზებიც გამართლდა.

— მაშინ, როცა საქართველოში მასობრივი ეროვნული მოძრაობა გაიშალა, თქვენ რას საქმიანობდით?

— ფორუმის დაშლის დღიდან ვგრძნობდი რაღაც არა სასიკეთოს. ვცდილობდი ეგზალტირებული ადამიანებისათვის თვალის ახელას. არავინ მომისმინა, ძალიან აირია მონასტერი. ახლა აღარ მინდა ყველაფრის გახსენება, ისე, მაშინ, ყველა ლიდერი საკმაოდ სცოდავდა. საქართველოში, ჩემი ღრმა რწმენით, ეროვნული მოძრაობა მუდამ არსებობდა, ჩვენი ქვეყნის რუსეთისაგან დაპყრობის დღიდან. განა ჩვენი არცთუ შორეული წინაპრები, რომლებიც უმძიმესი, არანორმალური და არაადამიანური პირობების მიუხედავად ქმნიდნენ ოჯახებს, ზრდიდნენ შვილებს, ქმნიდნენ კულტურას, ხელოვნებას, მეცნიერებას და რომლებმაც საქართველო დღევანდლამდე მოიტანეს, არ იყვნენ ეროვნული მოძრაობის მონაწილენი? იქნებ ეროვნული მოძრაობა მხოლოდ მიტინგების მოწყობა და ქუჩაში „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს" ყვირილია? ან განა ხალხისათვის თვალში ნაცრის შეყრა არ არის, როცა მსოფლიოს გასაგონად გაჰყვირიხარ „საბჭოთა კავშირი ჩვენ დავშალეთ, აღმოსავლეთ ევროპა ჩვენ გავათავისუფლეთო"? ეროვნული მოძრაობა უპირველეს ყოვლისა საქმის კეთებაა და არა იმ ანტიხალხური რეჟიმის დამყარება, რომელმაც ერთმანეთის მტრებად გვაქცია, გაგვაპარტახა, შხამითა და სისხლით აავსო ქვეყანა. ეს არ იყო ეროვნული მოძრაობა, ეს ლექის მოძრაობა იყო. ყველაფერ ამას მსოფლიო ხედავს და გაოგნებულია, ეროვნული მოძრაობა ეროვნულ უძრაობად გადაგვექცა, შევირცხვინეთ თავი შინ და გარეთ.

ხშირად ვისმენდი ამა თუ იმ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კამათს, რა უნდა გაკეთებულიყო და რა სჭირდებოდა ქვეყანას.

ჩვენ შევქმენით საზოგადოებრივი ორგანიზაცია „საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირი". დღეისათვის ამ კავშირში შექმნილია მრავალი ფირმა, ორი უმაღლესი და ერთი საშუალო-სპეციალური სასწავლებელი, კონცერნები, ამას გარდა შექმნილია სამი თეატრი, ერთი დეტექტიური და ორი მუსიკალური ჟანრის. მოქმედებს საინგილოს საქველმოქმედო ორგანიზაცია „ჰერეთი" და 9 აპრილს მოწამლულთა დახმარების კომიტეტი.

— ცნობილია, რომ 1991 წლის 30 ნოემბერს დაფუძნდა საქართველოს არასახელმწიფო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სათათბირო, რომლის ერთ-ერთი ინიციატორიც თქვენა ხართ. რა მიზნებს ისახავდა ამ ორგანიზაციის შექმნა?

— ჩვენ სათათბიროში გვსურდა გაგვეერთიანებინა საქართველოში არსებული არასახელმწიფო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ანუ საბაზრო ეკონომიკის პირველი სტრუქტურები და ერთიანი ძალით გვემოქმედა ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი მეწარმეობის განვითარებისათვის, წინ აღვდგომოდით აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერი სტრუქტურებისა და კერძო პირების მხრიდან მეწარმეთა საქმიანობაში არაკანონიერ ჩარევას, გვეზრუნა სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაციისათვის მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დასაცავად, დაგვეძლია სამეურნეო საქმიანობაში საუწყებო-დარგობრივი მონოპოლიზმი, ხელი შეგვეწყო ჩვენი ეკონომიკის საერთაშორისო-სამეურნეო პროცესებში ჩართვისათვის.

ახალ პოლიტიკურ სიტუაციაში გადავწყვიტეთ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლაც. მიმაჩნია, რომ სიცრუეზე აგებული ქვეყანა უზნეო ქვეყანაა, ხოლო ასეთ ქვეყანას კი მარტო კარგი კანონებით და კარგი კონსტიტუციით ვერას ვუშველით, უმთავრესია ზნეობრივი კადრები, ის უანგარო და კომპეტენტური ადამიანები, რომლებიც ამ კანონებს ცხოვრებაში გაატარებენ. ვის მოუსმენს ხალხი ამ პოლიტიკური ანარქიისა და უკიდურესი სოციალური შეჭირვების ჟამს? ალბათ იმათ, ვის სიტყვასაც საქმე უმაგრებს ზურგს. ის, რაც საქართველოში მოხდა, ყველა მოაზროვნე კაცისათვის ჭკუის სასწავლებელი უნდა გახდეს, საქართველო უნდა განიკურნოს პოლიტიკანობის საყმაწვილო სენისაგან, სიცრუისაგან, ყოველგვარი მოჩვენებითობისაგან, ბაქიაობისაგან, მაგრამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს მხოლოდ დირექტივებით ან მოწოდებებით არ მოხდება. 20 საუკუნეა ბიბლია გვასწავლის როგორები უნდა ვიყოთ,მაგრამ ამ ცოდვით სავსე ქვეყანაზე მარტო ქადაგებით არაფერი გამოდის, ძალა სამართლიანი უნდა იყოს, ხოლო სამართალი ძლიერი.

1992 წლის 8 თებერვალს შევქმენით პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ლიგა", რომელიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს მომავალ არჩევნებში, პარლამენტში თავისი წარმომადგენლების მეშვეობით თანამიმდევრულად დაიცავს საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პრინციპებს, თავისუფალ მეწარმეთა ფენის ინტერესებს და იზრუნებს მოქალაქეთა სოციალური გარანტიების შესასრულებლად. იმედი გვაქვს, რომ ამომრჩეველი ღირსეულად შეაფასებს ლიგაში გაერთიანებულ საქმიან კომპეტენტურ პიროვნებებს.

— ბატონო ნუგზარ! თქვენი ნებართვით ერთ დელიკატურ შეკითხვას დაგისვამთ. თქვენ ბრძანდებით 7 წიგნის ავტორი, მწერალთა კავშირის წევრი, რამდენადაც ვიცი, თქვენს ლექსებს პოეზიის მოყვარულები აფასებენ, ეკონომიკა, პოლიტიკა და პოეზია მოღვაწეობის სულ სხვადასხვა სფეროებია, დღეს კი საზოგადოებრივი აზრი ვიწრო პროფესიონალიზმის მხარეს იხრება, რათა თავიდან აცილებულ იქნეს დილეტანტიზმი, რას გვეტყოდით?

— მე ჩემს საქმიანობაში მარტო არა ვარ, ბედნიერად მიმაჩნია თავი, რომ მოვახერხე გვერდიგვერდ დამეყენებინა და საქმით გამეერთიანებინა მაღალი რანგის პროფესიონალები, მხარი დამეჭირა მათთვის როგორც შემძლო. დღეს საქართველოს არასახელმწიფო სექტორში მომუშავე ორგანიზაციებს სოლიდური წვლილი შეაქვთ ჩვენი დაშლილი ბიუჯეტის შევსებასა და დარეგულირებაში, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა დავეხმაროთ თავისუფალ პრესას, გამომგონებლებს, შევქმნათ კულტურული ცენტრები, ვეწეოდეთ ქველმოქმედებას, ხვალ უეჭველად მეტის გაკეთებას შევძლებთ. მართალია მე ეკონომისტი არა ვარ, მაგრამ რისთვისაც ჩვენი ეკონომიკური აღორძინების კავშირი შეიქმნა, იმ საქმეს აუცილებლად სჭირდება ერთი პოეტი მაინც.

ინტერვიუ მოამზადა
გია თვალავაძემ.

ძირძველი მეგობრობა

საქართველოს ბერძენთა საზოგადოებების ფედერაციის დამფუძნებელ ყრილობაზე

ეს ყრილობა რუსთავში, ქიმიკოსთა კულტურის სასახლეში გაიმართა გასულ შაბათ-კვირას.

ყრილობას ბევრი ბერძენი ესტუმრა აგრეთვე ჩრდილოეთ რუსეთიდან, უკრაინიდან... კულტურის სასახლის ფოიეში, ყრილობის დარბაზში ელინთა წარმომადგენლები გულისტკივილით იგონებდნენ წინაპარ თანამოძმეთა ბედკრულ ხვედრს, პონტოს ცნობილ ტრაგედიას, რომელიც დაკავშირებულია მშობლიური მიწა-წყლიდან მათ იძულებით გასახლებასთან, თუმცა ახალმოსახლეთა ცხოვრების გზა არც შემდგომში ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. ცარიზმს არ აწუხებდა მათი სვე-ბედი — რომ არა ქართველების ერთგული მხარდაჭერა და თანადგომა, შეიძლება ერთიანად გადაშენებულიყვნენ, ათასობით ბერძენმა საქართველოში მეორე სამშობლო ჰპოვა, აქ მათ სითბო და სიყვარული აგრძნობინეს, — თქვა ყრილობის გახსნისას საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა კირიაკ იორდანოვმა.

ყრილობამ შეიმუშავა მრავალი საპროგრამო დოკუმენტი და წინადადებათა პაკეტი, რომლებიც წარუდგინენ საქართველოს სახელმწიფო საბჭოსა და საბერძნეთის მთავრობას. ამ დოკუმენტებიდან ცალკე გამოყოფენ ორს: პირველი შეიცავს პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ბერძენთა ემიგრაციასთან და საბერძნეთში გადასახლებულთა საყოფაცხოვრებო და შრომით მოწყობასთან, მეორე და ძირითადი პაკეტი დაკავშირებულია იმათ პრობლემებთან, რომლებიც მუდმივად საქართველოში დარჩებიან.

ყრილობამ აირჩია ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოები. თავმჯდომარედ არჩეულია ბატონი კირიაკ იორდანოვი.

დავით ბიწაძე.

რა ვუთხრათ ჩვენს პატარებს?

შჭირს „დილას"

ჟურნალმა „დილამ" თითქმის ოთხი თაობა გაზარდა, დააფრთიანა, ცხოვრების გზაზე გაიყვანა. რამდენიმე წლის წინ იუბილეც ჰქონდა ჟურნალს. მაშინ არავინ ვიცოდით, თუ ჩვენს ცხოვრებაში ასე მძაფრად შემოიჭრებოდა პოლიტიკა, გადაფარავდა ყველაფერს და საგაზეთო ჯიხურები მხოლოდ პოლიტიკური გამოცემებით გაივსებოდა... ღმერთმა ქნას, ეს ყველაფერი დროებითი იყოს, თორემ ამ ქაღალდის საერთო დეფიციტის დროს ბარტყებივით გამოჩეკილი ახალ-ახალი პოლიტიკური გაზეთების გვერდით ბავშვებისათვის საბავშვო ჟურნალებს რომ ვეღარ ვპოულობთ, რა ვუთხრათ მათ და შემდეგ რით ვიმართლოთ თავი?

არადა, ჟურნალ „დილის" პირველი ნომერი კი ჯერაც არ მიგვიდია... აღარაფერს ვამბობთ მინიატიურულ ჟურნალ „აი ია-ზე", შარშანდელი თოვლივით რომ შემოგვადნა და შემდეგ მისი ბედითაც არავინ დაინტერესებულა... მე კი შარშან მთელ წელს ვეძებდი საგაზეთო ჯიხურებში ჩემი პატარასათვის ამ სიმპათიურ ჟურნალს. თურმე ამაოდ...

მე პირადად ქართული საბავშვო ჟურნალების ტირაჟის შემცირებაც კი დანაშაულად მიმაჩნია, არათუ გაქრობა... ისე არ გამიგოთ, ქართველ ბავშვებს წასაკითხი არაფერი ჰქონდეთ, ღმერთმა დაგვიფაროს! მაგრამ, როცა ბავშვი კითხულობს ლექსს, ზღაპარს თუ მოთხრობას, სხვადასხვანაირად აღიქვამს მას, იმის მიხედვით, დასურათებულია თუ არა, სადაა იგი დაბეჭდილი.

გავესაუბრეთ ჟურნალ „დილას" რედაქტორს, ბატონ თენგიზ ჩალაურს.



— გულახდილად რომ ვთქვათ, ჟურნალ „დილას" ძალიან უჭირს, თუ ადრე ის 160 ათასი ტირაჟით გამოდიოდა, დღეს 30 ათასით გამოდის. აქედან 28 ათასი ხელმომწერია. ასე რომ, საგაზეთო ჯიხურებში ძალიან ცოტა ხვდება. 20-გვერდიანი ჟურნალი, ერთადერთი ჟურნალი, ქართულ ენაზე უმცროსკლასელთათვის, განა შეიძლება ასეთი მცირე ტირაჟით გამოდიოდეს? ქაღალდის ფასი თითქმის 10-ჯერ გაიზარდა, ბეჭდვის მომსახურება — 7-ჯერ. ფასი კი ისევ 80 კაპიკია, მაშინ, როცა ოთხგვერდიანი, გინდ რვაგვერდიანი გაზეთის ფასი 2 მანეთია.

— სამომავლო პერსპექტივა თუ მაინც?

— ვეძებთ სპონსორებს. ვფიქრობთ, საერთაშორისო ბაზარზე გასვლასაც. პირველი ნაბიჯები გადადგმულია. ისრაელში მცხოვრებმა ქართველმა ებრაელებმა გამოთქვეს სურვილი ქართული გაზეთის გამოცემის. მწერალმა, ბატონმა თამაზ წივწივაძემ ჩვენი საბავშვო ჟურნალი შესთავაზა მათ ისრაელში გასაყიდად. არის სხვა გეგმებიც.

მოგეხსენებათ, თურქეთში 5 მილიონამდე ქართველია. მათ განზრახული აქვთ იქ ქართული სკოლების გახსნა. გვინდა მათთვის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული „დედა ენა" დავბეჭდოთ და „დილას" საუკეთესო ნომრებიც გავუგზავნოთ. იქნებ ცოტა ამოვისუნთქოთ, გვსურს აგრეთვე „დილას" ბიბლიოთეკით გამოვუშვათ ქართული ზღაპრები, ლექსები, მოთხრობები... ეს ჩანაფიქრია მხოლოდ და ამ უქაღალდობის დროს იდეის დონეზე რჩება...

— „აი იას" რა ბედი ეწია?

— „აი ია" არაგეგმიური ჟურნალი იყო და, ბუნებრივია, უარი გვითხრეს მის გამოცემაზე. შარშანდელი სამი ნომერი დღესაც სტამბაშია ჩაშვებული და ამაოდ ელის თავის რიგს...

ალბათ, შენიშნეთ ჟურნალ „დილას" ბოლო გვერდი რეკლამას დავუთმეთ, მაგრამ არავინ მოგვაკითხა. არადა, ამ ჟურნალის გაძლიერება ხომ ისევ ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს, მომავალ თაობას სჭირდება. თუ ბავშვი „დილას" არ წაიკითხავს, რომ წამოიზრდება, ის აღარც „ცისკარს" და „მნათობს" მოჰკიდებს ხელს. გაეპარება ერთი მშვენიერი და განუმეორებელი ხანა — ბავშვობა.

— სამომავლოდ როგორი იქნება ჟურნალი „დილა", პირდებით პატარა მკითხველებს სიახლეებს?

— სურვილები და გეგმები ბევრი გვაქვს. გვინდა კონკურსები გავმართოთ (მაგრამ აქაც თანხაა საჭირო)... ურთიერთობა დავამყაროთ ტელევიზიის საბავშვო გადაცემების რედაქციასთან. გვინდა შემოვიღოთ ახალი რუბრიკა, სადაც პატარების გამონათქვამებს დავბეჭდავთ, მოვიწვევთ მშობლებს, პედაგოგებს, ექიმებს, ასტროლოგებს. იმედია, ისინი საინტერესო თემებზე ესაუბრებიან ბავშვებს. ვფიქრობთ, ჟურნალს ქართული საგალობლებისა და ხალხური სიმღერების ფირფიტებიც დავურთოთ თავისი ისტორიით. უკვე დავიწყეთ ბიბლიის ბეჭდვა, ვფიქრობთ ძველი ეგვიპტური და ბერძნული მითებიც მივაწოდოთ ბავშვებს.

• • •

დავტოვე ბატონი თენგიზი შეფიქრიანებული იმ მშვენიერ, სიცოცხლისა და ხალისით სავსე სამყაროში, ბავშვების სამყარო რომ ჰქვია და მეც, არანაკლებ შეფიქრიანებული დავუყევი კოსტავას ქუჩას. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს ეს ასი წლის მარადი ბავშვი „დილა" დღეს იდგამს ფეხს ამ პოლიტიკით დატვირთულ სამყაროში. ამიტომ საკმაოდ ხმამაღლა მოგმართავთ მშობლებო, ბებიებო, ბაბუებო, ბიზნესმენებო! უმცროსი ასაკის ბავშვებს იმ წვალებით ნაშოვნ კარაქთან და კვერცხთან ერთად არანაკლებ სჭირდებათ საბავშვო ჟურნალი „დილა"! შეგახსენებთ:

ბანკში გახსნილია ანგარიში 000164001, კოდი 52175, კრწანისის ბინსოცბანკი, შემბანკი 8528, ანგარიშის № 1448, ჟურნალი „დილა". გახსოვდეთ, რომ თქვენგან გაღებული თანხა თქვენი შვილების სულიერ ჩამოყალიბებას მოხმარდება.

ციცო ჯაფარიძე

გიწვევთ ომის მონაწილეებს!

საქართველოს გენერლებსა და ოფიცერთა რესპუბლიკური ეროვნული გაერთიანების შტაბი, დედაქალაქის ვაკის პარკში, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან, 1992 წლის 9 მაისს აწყობს ომში დაღუპულთა მოსაგონარ შეხვედრას, სადაც გიწვევთ ომის ყველა მონაწილეს, თქვენს ახლობლებს — პატივი მივაგოთ ომში დაღუპულთა ნათელ ხსოვნას.

აქვე ღრმა მწუხარებით აღვნიშნავთ 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას. მოვიხსენიებთ ავღანეთის ომში დაღუპულთა ხსოვნას და ვუთანაგრძნობთ მათ მშობლებსა და ახლობლებს. საქართველოში მეორე წელია გრძელდება ძმათა უაზრო სისხლის ღვრა, განუკითხაობა, ანარქია. ჩვენ, დიდ ბრძოლებში გამოვლილი გენერლები და ოფიცრები მოგმართავთ მამაშვილურად, გააანალიზეთ შექმნილი ვითარება და თქვენი მოქმედება. კი არ ვესროლოთ ერთმანეთს, არამედ შევრიგდეთ, რა გვაქვს გასაყოფი?!

გავიხსენოთ 300 არაგველები, ცხრა ძმა ხერხეულიძე და მათი დედები, ცოტნე დადიანი და თევდორე მღვდელი... დაე მათი გმირობა გვაერთიანებდეს ჩვენ.

ქართველი გენერლები და ოფიცრები ნდობითა და პატივისცემით მუდამ გვერდში ედგნენ ქართველ ერს და კვლავაც იდგებიან, მის მიერ არჩეულ ხელისუფლებასაც ამოუდგებიან, თუ ის გამოხატავს ერის ინტერესებს.

ამის დასტურია ჩვენი მიმართვა მიმდინარე წლის 6 იანვარს რადიოთი და ტელევიზიით ქართველი ერისა და დროებითი მთავრობისადმი, სადაც უარვყავით გამსახურდიასეული ფანატიკური ხელისუფლება.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ საჭიროა დავიკაპიწოთ ხელები და მივცეთ თავი შრომასა და სწავლას.

დავფიქრდეთ! და არა ხვალ, დღესვე!

საქართველოს გენერლებისა და ოფიცერთა რესპუბლიკური ეროვნული გაერთიანების შტაბი.

რეკლამა ● განცხადება

INTERNATIONAL BUSINESS PARTNER
Soft lang
თბილისი,
ჭავჭავაძის გამზ. 39

სიცოცხლის დაზღვევა
სადაზღვევო ანაზღაურება შენატანის
1000 %-ით
ტელ.: 29-49-53

საკუთარი საქმის გახსნა
სისტემატიური ოპერატიული ინფორმაცია
ბიზნეს-კანონმდებლობის შესახებ

საკუთარი საფირმო სტილის შექმნა
გრაფიკული დიზაინი
სარეკლამო, პოლიგრაფიული პროდუქცია

ტელ.:22-15-19

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისაგან

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია აცხადებს აკადემიის ნამდვილი წევრებისა (აკადემიკოსების) და წევრ-კორესპონდენტების ვაკანსიებს შემდეგი სპეციალობების მიხედვით:

განყოფილება და სპეციალობები	ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი)	წევრ-კორესპონდენტი
1. მემცენარეობა, სელექცია და ბიოტექნოლოგია		
ა) მევენახეობა-მეხილეობა	—	1
ბ) ჩაი და სუბტროპიკული კულტურები	—	1
გ) სელექცია-მეთესლეობა	1	—
დ) მცენარეთა დაცვა	1	—
2. მიწათმოქმედება, ნიადაგის ნაყოფიერება და ეკოლოგია		
ა) მიწათმოქმედება	1	1
ბ) სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგია	—	1
გ) აგროქიმია	—	1
3. აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური და სოციალური განვითარება		
ა) ეკონომიკა და ორგანიზაცია	1	1
ბ) მართვა	1	—
გ) მსოფლიო სოფლის მეურნეობა	1	—
4. მეცხოველეობა, ვეტერინარია, საკვებწარმოება	1	1
5. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, ელექტრიფიკაცია, ავტომატიზაცია	1	1
6. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვა და გადამუშავება	1	1

სამეცნიერო-კვლევით და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სამინისტროებსა და უწყებებს, რესპუბლიკის საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებსა (აკადემიკოსებს) და წევრ-კორესპონდენტებს უფლება ეძლევათ გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში სათანადო წერილობითი დასაბუთებით წარმოგვიდგინონ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრობისა (აკადემიკოსების) და წევრ-კორესპონდენტების კანდიდატურები წინამდებარე განცხადებაში აღნიშნული სპეციალობების მიხედვით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) და წევრ-კორესპონდენტების კანდიდატებზე აუცილებელია შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა (ორ ცალად):

— კანდიდატთა წამოყენების თაობაზე სამეცნიერო საბჭოს, აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარდგინება (გადაწყვეტილება) შესაბამისი დასაბუთებით;

— კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი; ავტობიოგრაფია; სამეცნიერო შრომების სია; დასკვნები მათი სამეცნიერო და სამეურნეო მნიშვნელობის შესახებ; სამეცნიერო ხარისხისა და სამეცნიერო წოდების დიპლომების ასლები; სამეცნიერო-საწარმოო და საზოგადოებრივი საქმიანობის დახასიათება; 4X6 სმ ზომის 2 ფოტოსურათი.

მასალები წარმოდგენილი უნდა იქნეს მისამართით:
380031 ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.
ტელეფონები: 51-09-20; 51-95-41.

რეკლამა ● განცხადება

მცირე საწარმო „კონსტრუქტორი"
გთავაზობთ სამშენებლო ბლოკების დამამზადებელ ვიბროდანადგარს (გაბარიტები 1,650x1,500x1800მმ) წარმადობა 300 ცალამდე საათში. ბლოკის (390x190x180მმ) დასამზადებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს პემზის, წიდის, ღორღის ან სხვა ცემენტოვანი ნარევები.
გარანტია 1 წელიწადი.
ტელ. თბილისი: 51-75-09 (18-21 საათი)
სოხუმი: 4-27-92 (ეშბას ქ. №128)

ყურადღება!

შაბათს, 9 მაისს, 18 საათზე გაიმართება პოლიტიკური ორგანიზაცია „ქარტია-91"-ის თბილისის ორგანიზაციისა და რაიონული ორგანიზაციების რწმუნებულთა შეკრება.

დასწრება სავალდებულოა.

შეკრება ჩატარდება: კოსტავას ქ. № 70, ვაკის რაიონის გამგეობის შენობაში.

ქიმერიონი
KIMERIONI

გიწვევთ სამოგზაუროდ

შემოქმედთა საზოგადოებრივი გაერთიანება „ქიმერიონის" ტურისტული ბიურო გთავაზობთ საინტერესო მოგზაურობებს — სამი დაუვიწყარი დღე პარიზში ივლისის შუა რიცხვებში (ავტობუსით ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის გავლით). იჩქარეთ, საბუთების წარმოდგენა 20 მაისამდეა.

სირიაში 10-დან 17 ივლისამდე, თვითმფრინავით — თბილისი, მოსკოვი, დამასკო, ალეპო, მოსკოვი, თბილისი. საბუთების წარმოდგენა 1 ივნისამდე.

ეგვიპტეში 13-დან 20 სექტემბრამდე, თვითმფრინავით — თბილისი, მოსკოვი, კაირო, ალექსანდრია, მოსკოვი, თბილისი. საბუთების წარმოდგენა 5 აგვისტომდე.

ირანში — ივნისის დამლევს ავტობუსით თბილისიდან თეირანში და ისპაჰანში. საბუთების წარმოდგენა 20 მაისამდე.

ფასები ჩვენს ტურისტულ ბიუროში ყველაზე შეღავათიანია, დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ შემდეგი მისამართით: თბილისი, სასტუმრო „აჭარა", 2 სართული, ოთახი 204. ტელ.: 36-92-06, 36-92-53, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 11-დან 17 საათამდე. ტურისტული ბიურო „ქიმერიონი".

საქართველოს ხალხური ბანკი
„აღმაშენებელი"

საქართველოს საადგილმამულო ბანკი „აღმაშენებელი"

გიწვევთ დამფუძნებლად და აქციონერებად საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების იურიდიულ და კერძო პირებს ბანკის საწესდებო ფონდის გაზრდასთან დაკავშირებით.

ამით დიდ წვლილს შეიტანთ რეგიონის თუ თქვენი პირადი ბიუჯეტის კეთილდღეობის საქმეში.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქ. № 26, მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლი (ბარათაშვილის ხიდთან) ტელ: 95-06-01, 96-92-46.

საქართველოს
აგრარულ
უნივერსიტეტთან
არსებული
„სპეცფაკულტეტი"
დამატებით აცხადებს:

საბუთების მიღება იწარმოებს 20 მაისიდან 30 მაისის ჩათვლით. მსმენელი საბუთების მიღებასა და გასაუბრებაში მონაწილეობისათვის ცალკე გადაიხდის 100 მანეთს.

მსმენელთა გასაუბრება ჩატარდება 10 ივნისიდან.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

სპეცფაკულტეტი სრულ სამეურნეო ანგარიშზეა.

როგანი

„მართვე" იმარჯვებს

17-20 აპრილს უკრაინის ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკში ჩატარდა ა. კ. ბონდარჩუკის სახელობის ღია ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1976-77 წ. და 1978-79 წლებში დაბადებულ ყმაწვილთა შორის. ამ ტურნირზე კარგად იასპარეზა „მართვეს" რესპუბლიკური საბჭოს ნაკრებმა გუნდმა. წონითი კატეგორიების მიხედვით ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: ზვიად სვანიძე, მამუკა მერაბიშვილი; მეორე ადგილი დაიკავეს კახა ბუნტურმა, ზურა ტოროშელიძემ; მესამე ადგილი — კახა ნადირაშვილმა, რობერტ ზურაბიშვილმა.

23-26 აპრილს ქ. გომელში გაიმართა ბელორუსიის რესპუბლიკის ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 1976-78 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის. კარგად იასპარეზა „მართვეს" რესპუბლიკური საბჭოს ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც გუნდური პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო წონითი კატეგორიების მიხედვით ტურნირის ჩემპიონები გახდნენ ხაშურელები: ამირან წიქვაძე, რომელსაც გადაეცა ტურნირზე დაწესებული ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი; გივი გრიგოლაშვილი, ზვიად ტასოშვილი, თბილისელი გიორგი რუხაძე. მეორე ადგილი დაისაკუთრეს ხაშურელმა თედო ულუმბელაშვილმა და თბილისელმა პაატა დემეტრაშვილმა. მესამე ადგილი თბილისელ რობერტ ბიძინაშვილს და ზურიკო სახვაძეს ერგოთ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა შემსწავლელი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ომარ შალვას ძე ქაჯაია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სახელმწიფო გაერთიანება „საქავტოგზის" კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეგზავი, საგზაო სისტემის ვეტერანი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი

ირაკლი სიმონის ძე მარშანია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში,
ხოშარაულის ქ. № 29.

ინდექსი 64424